# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 12 თებერვალი 2002 №21 (1543) | ფასი 50 თეთრი




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# ოქრო და ქალი
## ოლიმპიადა და კარნავალი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან




სოლტ ლეიკ სიტიში ზამთრის ოლიმპიადა სულ გრიალ-გრიალით გაიხსნა. ამერიკული პატრიოტიზმი სუფევდა ყველგან — 52 ათასი კაცით გავსებულ „რაის ეკლის სტედიუმის" ტრიბუნებზე და იმ ტრიბუნაზეც, საიდანაც ჯორჯ ბუშ უმცროსმა შესძახა: „სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადას გახსნილად ვაცხადებ". კიდევ, ოლიმპიური კოცონის მისადგომებთან, რომელიც დიდად საზეიმო ვითარებაში გუნდურად გააჩაღეს და მოედანზე, სადაც მორმონთა ქორო გალობდა და ინდიელთა ხუთი ტომის მრისხანე მეომრები როკავდნენ, ხალხის წინ 77 ქვეყნის სპორტსმენებმა გაიარეს, ხოლო მცხუნვარე რიო დე ჟანეიროში ზაფხული დგას და დიდ-პატარა ქუჩებში გამოფენილა, სახელგანთქმული კარნავალია სამბათი და ლამაზმანებით.

იხილეთ მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე გვერდები





REUTERS რიო დე ჟანეიროდან

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე

## ირლანდია

# მიირთვით იორკშირული მიკ-მაკი

## ფასი 250 000-დან 400 000 ევრომდე



მიკ მაკარტი

**ვაჭრობა** დამთავრდა. ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლის X ჯგუფში ჩვენი პირველკალათელი მეტოქის მწვრთნელის ყოფნა-არყოფნას ბეჭედი დაესვა — მიკ მაკარტი ირლანდიის ეროვნულ ნაკრებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე უთავკაცებს.

43 წლის იორკშირელი მიკ მაკარტი 31 იანვრის შემდეგ ფორმალურად ჰაერში იყო გამოკიდებული — თებერვლიდან მას კონტრაქტი აღარ აკავშირებდა ნაკრებთან. მაკარტი წლიურ გასამრჯელოდ 400 000 ევროს ითხოვდა, ხოლო ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია მხოლოდ 250 000 გამოდიოდა.

გუშინ კი ახალი ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა და თუ რა ჯამაგირისა შეიქნება მიკ მაკარტი, ჯერ არ გახმაურებულა.

მიკ მაკარტის თავის დროს ირლანდიის ნაკრებსა და „სელტიკში" უთამაშია, ხოლო მწვრთნელობაში ინგლისურ „მილუოლში" გაიწაფა. ირლანდიის ეროვნული ნაკრების მენეჯერი კი მას შემდეგ გახდა, 1996 წელს რაც პოსტიდან ჯეკ ჩარლტონი გადადგა.

**დავით თავართქილაძე**

# ჩივაძე მართლა გააფრინეს

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე გუშინ თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

ჩივაძე „დინამოს" კონსულტანტის რანგში იტალიაში დაბა ნორჩაში ახლდა, თუმც ერთ კვირაში თბილისში დაბრუნდა და... შესარჩევი ციკლის კალენდარზე მოსალაპარაკებლად და ირალნდია — რუსეთის ამხანაგურ მატჩზე დასასწრებად. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელისთვის უფრო მოსახერხებელ გზად თბილისი — მოსკოვი — დუბლინი მიიჩნია. გუშინვე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი რუსეთის საფეხბურთო კავშირის მოხელეებს შეხვდებოდა და დღეს მოსკოვიდან დუბლინში ჩარტერული რეისით გაემგზავრებოდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ევროპას ორიოდ დღის წინ გაემგზავრა და, ალბათ, ჩივაძესთან ერთად მეტოქეების მატჩსაც დაესწრება. გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია კი დუბლინს ხვალ საღამოს ეწვევა.

თითქმის მთელი საქართველო საქართველო — რუსეთის მოსალოდნელ დაპირისპირებაზე ლაპარაკობს, ამ დროს კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მეტოქე რუსეთის ნაკრებთან ერთად ჩარტერული რეისით მგზავრობას ამჯობინებს.

ნუთუ თბილისიდან დუბლინამდე ყველაზე კომფორტული გზა მოსკოვის გავლითაა?..

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ასე ყოფილა.

**კობა ინასარიძე**

# კვიპროსმა ცხადაძეს ნაკრები გაახსენა

**კვიპროსზე** მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა" გუშინწინ მეხუთე საკონტროლო მატჩი გამართა და ორი ფრისა და წაგების შემდეგ იუგოსლავიური „რადა" 1:0 დაამარცხა. რკინიგზელთაგან გოლი ქარდავამ გაიტანა, რომელიც 65-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და „ლოკომოტივის" მოთამაშე-მწვრთნელს კახა ცხადაძეს თავიც მოაწონა. „ლოკომოტივს" „რადასთან" მატჩში დაუბრუნდა გიორგი დავითნიძე, რომელიც კარგა ხანს წამლობდა მტკივან ფეხს.

თბილისელებმა წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ამჯერად ოთხი მცველით ითამაშეს, რაც მწვრთნელი ცხადაძისათვის ცოტა არ იყოს უჩვეულოა:

*ლომაია; ბალაშვილი, ხალუქაძე (დავითნიძე 46), ცხადაძე, ლაცაბიძე; მორჩილაძე (არუდაშვილი 65), ჭიჭვეიშვილი, სირაძე, ონიანი; დავითაშვილი (მერელიძე 65), სირბილაძე (ქარდავა 65).*

ცხადაძეს, რომელმა 3 საკონტროლო მატჩში თავადაც მიიღო მონაწილეობა, ბოლო შეხვედრებმა მხლოდ ტაქტიკური სიახლე როდი უკარნახა.

საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის თქმით, ის არამარტო სათამაშო კარიერის გახანგრძლივებას, არამედ ეროვნულ გუნდში დაბრუნებასაც არ გამორიცხავს.

— მუხლის ტრავმის გამო ასეთი სრულფასოვანი მოსამზადებელი ეტაპი, დიდი ხანია, აღარ გამივლია. ახლა კი მუხლმა სრული დატვირთვით ვარჯიშს გაუძლო და ჩემი ამჟამინდელი სათამაშო ფორმით კმაყოფილი ვარ.

თუ ისევ ტრავმებმა არ შემახსენეს თავი, არ გამოვრიცხავ, ნაკრებში სათამაშოდაც ვიყო მზად. მე ეს ძალიან მსურს, ახლაღა ვხვდები, რომ თამაშის მისატოვებლად ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ — გვითხრა 33 წლის კახი ცხადაძემ, რომელსაც წუხელ კვიპროსულ აიაპაში ტელეფონით დავუკავშირდით.

**კობა ინასარიძე**

# კალაძის მარჯვენა მილანის მარცხენად ღირს



კახა კალაძე (მარცხნივ) ექიმების სიტყვას ელის

**იტალიური** „მილანის" მცველ კახა კალაძეს შაბათის ვარჯიშისას ფეხი დაუშავდა და კვირას „პერუჯასთან" მატჩი სწორედ ამის გამო გამოტოვა.

„მილანმა" ეს მატჩი ფრედ დაამთავრა. ბევრი მიმომხილველის აზრით მილანელებმა სამი მცველით ითამაშებს, მარცხენა ფლანგი მოშიშვლებული დარჩა და „პერუჯამაც" ამით [illegible] მილანიდან ქულა [illegible] გუნდმა კი ორი მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა, რაც, შესაძლოა ბოლოს ძვირად დაუჯდეს.

— შაბათის ვარჯიშისას, როგორც ყოველთვის, მწვრთნელმა ანჩელოტიმ „ორი კარი" გვათამაშა. მე იმ შემადგენლობაში ვიყავი, რომელსაც მეორე დღეს „პერუჯას" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. მომენტი იყო, ბურთის ართმევა ვარდნით რომ ვცადე ცუდად დავეცი, თანაც მოწინააღმდეგე თანაგუნდელისგან ფეხი მარჯვენა წვივში მომხვდა. აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, ექიმებმა გამიყურეს, მეგონა, ფეხბურთს დიდი ხნით ჩამოვშორდებოდი. საბედნიეროდ, გადავრჩი — გვითხრა კახა კალაძემ, როცა მილანში დავუკავშირდით — თავიდან ვიფიქრე წვივის ძვალი გამიტყდა-მეთქი, მაგრამ, მალევე რენტგენი გადამიღეს და ძვალი მთელი გამოჩნდა. ახლა ვისვენებ.

**— ვარჯიშს როდის განაახლებ?**

— ოთხშაბათს ან ხუთშაბათს. ექიმის სიტყვას ველი, როცა შეშუპება ჩაცხრება, ვარჯიშს დავიწყებ. სანერვიულო არაფერიაო, მეუბნებიან.

**— მომავალ მატჩში ითამაშებ?**

— მგონი, ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში ექიმები მაიმედებენ.

**— „პერუჯასთან" ფრემ კლუბის ხელმძღვანელები მწვრთნელებზე ხომ არ აალაპარაკა?**

— არაფერი მსმენია. ანჩელოტის მუსმის, თითქმის ნახევარი გუნდი ტრავმირებულია, ფაქტობრივად, მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელი არ დარჩა. ჯერჯერობით მის მოხსნაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

**კობა ინასარიძე**

# ავჭალა თამაშობს...

## სად გადაწყდება „მერანის" ბედი?



ოთარ გაბელია



ანზორ მამალაძე

**გუშინ** თბილისურმა „მერანმა" მერებაშვილის წყვილი და სოხაძის გოლებით თანაქალაქელ თსუ-სთან საკონტროლო მატჩი 0:3 წააგო. ორი დღით ადრე ავჭალელები რუსთავის „გორდას" დაუზავდნენ. ჯერ იური გაბისკირიამ შორეული დარტყმით დააწინაურა სტუმრები, მერე კი მასპინძელმა ბაჯელიძემ პენალტიდან გაქვითა ანგარიში. მანამდე გორის „დილასთან" წააგო გაბელიას გუნდმა.

მიუხედავად ხელმძღვანელობაში არეული და გაურკვეველი ვითარებისა, „მერანი" კლუბის თავკაცების ცრუ დაპირებებს ჯერაც მოთმინებით უცქერს. ოთარ გაბელიას ხათრით ფეხბურთელები კლუბიდან არ გარბიან, მაგრამ უკვე სხვა გუნდებისკენ უჭირავთ თვალი. „გორდასთან" მატჩში რუსთაველთა მხარეს თამაშობდა მერანელი ზაზა ცქიფურიშვილი. სხვებიც გაქცევაზე არიან, მაგრამ მწვრთნელის იმედიანი სიტყვები აკავებთ.

გაბელიას სჯერა, რომ კლუბში ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება, თუმც რეალობა სხვაგვარია.

იური სევასტიანოვი და ვალერი ჟილენკოვი ანთალიაში ჩავიდნენ, მათ „მერანის" პრეზიდენტი ფერცულაძეც ეახლა, თუმც ამ ვიზიტს ავჭალაში ფინანსური მდგომარეობა არ გამოუსწორებია.

„მერანის" ვიცე-პრეზიდენტ ანზორ მამალაძეს ვერ გადაუწყვეტია, სასამართლოს მიმართოს თუ არა. იგი კომპრომისის მიღწევას ცდილობდა, მაგრამ ანთალიიდან შემოუთვლიათ, თანამდებობიდან განთავისუფლებული ხარო და გამძვინვარებული ვიცე-პრეზიდენტი საბოლოოდ გაყრია რუსებს.

მეორე დღეს ვითარება ისევ შეიცვალა და მამალაძემ კიდევ ერთი შანსი მისცა სევასტიანოვს და ჟილენკოვს. ჩვენ, ალბათ, ჩემპიონატის განახლებამდე ვერ გავიგებთ, რა ბედი ეწევა „მერანს". ისიც საკითხავია, კიდევ ერთი ვადა ვინ-ვის მისცა. ჩვენ ხომ ისიც არ ვიცით, ვის ეკუთვნის ის 25 პროცენტი, ანზორ მამალაძეს რომ უმაგრებს ზურგს. უფრო სწორად, ვიცით, მაგრამ არა ოფიციალური დოკუმენტების წყალობით.

„მერანი" კი სევასტიანოვს და ჟილენკოვს თავს იოლად ვერ დააღწევს. ამბობენ, რუსები ავჭალური კლუბის სანაცვლოდ მთლიანად „გოლეადორს", აკაკი დევაძეს და მიხეილ ფოცხვერიას მოითხოვენო...

კიდევ ერთი ვერსიით, ოთხი ავჭალელი ფეხბურთელი და ადგილი საქართველოს უმაღლეს ლიგაში სრულიად დააკმაყოფილებს რუსებსო...

ზოგიერთების გადმოცემით, კლუბის 75-პროცენტიან მეწილეებს ავჭალელთა ფარმ-კლუბის კუთვნილი ადგილიც გააჩერებსო...

მიდი და ეძიე სად, რომელ მხარესაა სიმართლე. გუშინ ისიც გვითხრეს, მამალაძე ახალ პარტნიორებს დაეძებსო. ვიცე-პრეზიდენტს კი შევეხმიანეთ, მაგრამ ხუთშაბათამდე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვითო. ხუთშაბათიც ამ კვირისაა, დავიცადოთ, იქნებ მართლა ეშველოს „მერანს".

**მამუკა ქვანტალიანი**

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXII ტური

ჰანოვერი 2:0 მაინცი

### ინგლისი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბრაიტონი 3:1 რედინგი

### იტალია

სერია B. XXIII ტური

პალერმო 0:0 ბარი

სერია C1/a. XXIII ტური

კარარეზე 1:4 სპეცია

### როტმანსის თასი

II ტური

მოლდოვა 2:0 იორდანია

მალტა 1:1 ლიტვა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# გვაყურებინეთ რა...
## ნორჩაში ჩარჩენილი დინამო შუშაკმა ექსკურსიაზე წაიყვანა
### ბატისტუტა, ვატიკანი და კოლიზეუმი



„დინამოს" მოწონებულ ერთადერთ ბრაზილიელ ალბერტო კარლოს და როშას თბილისში „ეროვნულზე" 1997 წელსაც უთამაშია

**შაბათს** თბილისის „დინამო" ნორჩას თასისთვის ბრძოლას დაემშვიდობა. ქვეჯგუფის ბოლო მატჩში ქართველებს უკრაინული „ტავრია" ჰყავდათ მეტოქედ და ჯგუფიდან გასაღწევად ფრეც ჰყოფნიდათ. სიმფეროპოლურ კლუბში სამი ჩვენებური თამაშობს — შოთა ჩომახიძე, ვასილ გოგიაძე და გოჩა ტრაპაიძე. სამეულს სხვადასხვა დროს „დინამოშიც" მოუსინჯავს ძალა და ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მონდომებით გაისარჯნენ. განსაკუთრებით ტრაპაიძემ გამოიდო თავი და გასაქანი არ მისცა თბილისელებს. სწორედ მისი წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმით გახსნა კოტიუკმა ანგარიში მე-7 წუთზე. ეს გოლი ერთადერთი გამოდგა მატჩში. არადა, დინამოელებმა არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ ყირიმელთა მობილურ დაცვას ვერაფერი დააკლეს.

„დინამოს" პრესატაშის დავით ერაძის თქმით, ცალკარა თამაში იყო, ზოიძეს საქმე არ ჰქონია და ანჩაბაძეს, დარასელიას, ბურდულს და შავგულიძეს ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოუყენებიათ.

„ცალკარა" წაგებულ მატჩში დინამოელთა სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, შავგულიძე, კარლოსი, მანწკავა, ანჩაბაძე, დარასელია, ბურდული, მიქაძე.**

„დინამოს" ფრედ რომ დაემთავრებინა შეხვედრა უკრაინელებთან, გუშინ რუმინულ „სტიაუას" შეხვდებოდა მეოთხედფინალში. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისე გამოვიდა. ქართველებს გაცილებით სოლიდური შეხვედრა ელით ისეთ ვარსკვლავებთან, ბატისტუტა, ტოტი, დელვეკიო და მონტელა რომ არიან. „დინამო" დღეს „რომას" ხვდება...

გუშინწინ ათკაციანი „იუვენტუსის" ვერგამტეხ რომაელებს „დინამოსთან" გაჯიბრება ფიქრადაც არ მოსვლიათ. საქმე ისაა, რომ ნორჩაში უსაქმოდ დარჩენილმა ქართველებმა თხოვნით მიმართეს რომაელებს, იქნებ თქვენ ვარჯიშს დაგვასწროთო. გუშინ იტალიის დედაქალაქიდან ჩვენებურთათვის სასურველი ფაქსი მივიდა ნორჩაში — მობრძანდით და გვიყურეთო. ქართველებიც დღეს რომში ჩავლენ, ჩვენი დროით ორ საათზე „რომას" საათნახევრიან ვარჯიშს დაესწრებიან, მერე კი კოლიზეუმს და ვატიკანსაც შეავლებენ თვალს. ამ ექსკურსიის შემდეგ „დინამო" ხვალ პოლონურ „ზაგლებიეს" გაეჯიბრება ამხანაგურად, ვალენტინობას კი ნორჩას ტურნირზე მათი ბედის მოზიარე „ქემნიცს" (გერმანელებიც ქვეჯგუფში ჩარჩნენ) დაუპირისპირდება.

„დინამო" დაგეგმილზე ოთხი დღით ადრე, 18 თებერვალს, დაბრუნდება თბილისში და ოფიციალურად გაუფორმებს კონტრაქტს ბრაზილიელ კარლოსს. სამხრეთამერიკელი ეულად შემორჩა ქართულ კლუბს, რადგან მისი ორი თანამემამულე კვირას სამშობლოში გაფრინდა. „დინამომ" ევანდრო და ვანდერლეი დაიწუნა.

„კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი გადაწყვეტილება ბრაზილიელებს და მათ მენეჯერს გააცნო. ევანდრომ და ვანდერლეიმ ჩვენი ძირითადი მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილეს. მოწვეული ფეხბურთელები ქართველებზე უკეთესნი უნდა ყოფილიყვნენ, ამ მოთხოვნას მხოლოდ კარლოსი აკმაყოფილებს, კონტრაქტსაც მხოლოდ მას გავუფორმებთ" — გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას დავით ერაძემ.

დაბოლოს, „დინამოს" უმცროსი ჩივაძე და გოგობერიშვილი ჰყავს ტრავმირებული. ჩივაძეს მიკროტრავმა აწუხებს და ორიოდ დღეში მწყობრში იქნება, გაცილებით რთულადაა გოგობერიშვილის საქმე. „ვიტ ჯორჯიიდან" გადმობირებული ნახევარმცველი მტკივან მუხლს მკურნალობდა, ტრავმა მორჩენილი ეგონა და კვირას ივარჯიშა, მაგრამ მუხლი ისევ გაუმიზეზდა და ექიმთა გადაწყვეტილებით თბილისში ჩამოსვლამდე ბურთს ველარ გაეკარება.

**ბაატა ძგანტალიანი**

# უკრაინელებს ჭელიძე ფიზიკურად მოეწონათ

**პირველად** მოირგეს ამხანაგურ მატჩში კიევის „დინამოს" მაისურა არჩილ სახვაძემ და ლაშა ჭელიძემ. მათთან ერთად ყოფილი ტორპედოელი მალხაზ ასათიანიც იმყოფება უკრაინულ კლუბში გასინჯვაზე, თუმც მწვრთნელებს ქუთაისელი ნახევარმცველი საქმეში ჯერ არ უნახავთ.

ქართველები კონჩა-ზასპაში დარჩენილ „დინამო 2"-თან ერთად ემზადებიან, რადგან ლობანოვსკის პირველი გუნდი ჰოლანდიაში ჰყავს შეკრებაზე.



არჩილ სახვაძე

ჩვენებურები კი ვლადიმერ ონიშჩენკოს და ვალერი ზუევის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ. სარეზერვო დინამოელებს მეტოქედ მეორელიგელი ჩერნიგოვსკის „დესნა" ჰყავდათ. მწვრთნელებმა სახვაძე მარცხენა მცველად გაამწესეს, ჭელიძეს კი ცენტრში მიუჩინეს ადგილი, მე-15 წუთისთვის ჩერნიგოვსკელები 2:0-ს იგებდნენ, დუბლის გამტანმა კოვემიაჩენკომ (აფსუს, „ტყავის ბურთის" გათამაშებაზე რომ ბურთი არ გაუგორებია) მეორე გოლი სწორედ ჭელიძის პოზიციური შეცდომის მერე გაიტანა. მიუხედავად ამისა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ჭელიძე დაასახელეს...

„კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქართველმა ახალგაზრდამ. ჭელიძემ დასაწყისში რამდენიმე შეცდომა კი დაუშვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მწვრთნელებმა ფლანგზე გადაიყვანეს, შეცდომა არ მოსვლია. მისი ხისტი და გააზრებული თამაში თვალში საცემი იყო. ქართველი სხვათაგან კარგი ფიზიკური მომზადებითაც გამოირჩეოდა" — ეს სიტყვები კიევის „დინამოს" ოფიციალურ საინტერნეტო გვერდში წერია.

ლაშა ჭელიძემ 90 წუთი დაჰყო მოედანზე, სახვაძე კი 70-ე წუთზე ჩერნიმ შეცვალა. ქართველთა გარდა კიდევ სამი ახალწვეული გასინჯეს უკრაინელებმა — რუმინელი, ლიტველი და რუსი ფეხბურთელები. ხუთეულიდან კი ყველაზე მაღალი შეფასება ჭელიძემ დაიმსახურა, მიუხედავად იმისა, რომ ექსსპარტაკელმა ნიკოლაი სოკოლოვმა გოლით გამოიჩინა თავი.



ლაშა ჭელიძემ კიევის „დინამოს" მაისურა ამხანაგურ მატჩში მოირგო

მიუხედავად ორბურთიანი ჩამორჩენისა, „დინამო 2"-მა პირველ ტაიმშივე შეძლო სამი გოლის გატანა და მატჩის სათავისოდ შემობრუნება. მეორე ნახევარში კი გოლები აღარ გასულა და შეხვედრაც 3:2 დასრულდა დედაქალაქელთა სასარგებლოდ.

მორიგ საკონტროლო მატჩს კიეველები ზეგ გამართავენ და, ალბათ, მალხაზ ასათიანსაც გამოცდიან.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ჰაიდა, აფრიკა!
## ზანგები უკეთესი ლინგვისტებიც არიან

**საშუალსეზონო** პერიოდი უდგათ ქართულ კლუბებს და თუ მათი ფეხბურთელები სატრანსფეროდ აქეთ-იქით მოძრაობენ, ხშირ შემთხვევაში გზა ფიფას აგენტ რევაზ არველაძეზე გადის. თბილისის „დინამოს" პრეზიდენტყოფილი ამ დროისთვის მართლაც ყველაზე აქტიური ქართველი აგენტია. მისი პირველი წარმატებული გარიგება გრიგოლ იმედაძის ვლადიკავკაზის „ალანიაში" გადასვლა გახლდათ. ახლაც რამდენიმე ფეხბურთელია რიგში — არჩილ სახვაძე, მალხაზ ასათიანი, ვალტერ გუჩუა...



რევაზ არველაძე

**რევაზ არველაძეს** ოფისში ვეწვიეთ და ჩვენი ინტერვიუც იქ შედგა.

**— თბილისის „დინამოს" პრეზიდენტობიდან ფიფას აგენტი გახდით. როგორ გრძნობთ თავს ასეთი მეტამორფოზის შემდეგ?**

— შინაგანი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მართლაც მაქვს, მაგრამ ისიცაა, რომ ქინს მაშინ ვიკლავდი, როცა ბურთთან და მინდორთან მქონდა საქმე ანუ მწვრთნელობის დროს. ასე რომ, აგენტობა და პრეზიდენტობა ამ მხრივ, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა.

აგენტობა საინტერესო საქმეა, ახალ კონტაქტებს ვამყარებ, თუმც არ მინდა, ჩემი სახელი მოთამაშეების გაყიდვასთან იყოს დაკავშირებული. მათთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ვეცდები, ფეხბურთელის გაზრდას ხელი შევუწყო — თუ ურთიერთნდობა იქნება, ეს ბევრად გამიადვილებს მუშაობას.

**— მწვრთნელობა ახსენეთ და, ალბათ, კიოლნის საფეხბურთო სკოლაში სწავლაზე ხელს არ აიღებთ.**

— რა თქმა უნდა. საჭირო დოკუმენტაცია თითქმის მზად მაქვს, გერმანული ენის მასწავლებელიც დავიქირავე, რათა კიოლნის სკოლის კურსებისთვის სათანადოდ მოვემზადო.

**— კიოლნის სკოლის პროფლიცენზიის აღება თბილისის „დინამოში" დაბრუნების სურვილმა გადაგაწყვეტინათ? არავისთვისაა ახალი, რომ ამ კლუბში დაბრუნება მართლაც მთელი გულით გინდათ.**

— ამ ეტაპზე „დინამოში" ჩემი დაბრუნება აქტუალური არ არის. ისე კი თუ ქართულ კლუბში ვიმუშავებ, ალბათ, მხოლოდ თბილისის „დინამოში". ამ კლუბთან განსაკუთრებული სიყვარული მაკავშირებს, „დინამოში" საკმაოდ დიდი დრო დავყავი...

**— თქვენს კლიენტებში დინამოელები ჭარბობენ...**

— „დინამოს" ფეხბურთელებთან მართლაც მაქვს ხელშეკრულებები — ბობოხიძე, მანწკავა, მამალაძე, ამისულაშვილი, შავგულიძე, ბურდული, შაშიაშვილი, მიკუჩაძე.

**— ფეხბურთელთა მიგრაცია კი მეტად მტკივნეული თემაა ქართული ფეხბურთისთვის. ყველა, ვინც ჩამოვთვალეთ, ნიჭიერი ახალგაზრდაა და რა გამოდის — რევაზ არველაძე ხელს უწყობს მათ უცხოეთში წასვლას?**

— აქ მხოლოდ უცხოურ კლუბში გადასვლაზე არ არის ლაპარაკი. თუნდაც ერთი ქართული გუნდიდან მეორეში გადასვლა, ან კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება — ასეთ საკითხებსაც მე გავუძღვები.

რაც შეეხება მიგრაციას, ვეცდები, ფეხბურთელებს გავაგებინო, როდის უნდა წავიდეს უცხოეთში. ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს და ფეხბურთელმა დროულად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

**— იმედაძის შემდეგ რომელი ფეხბურთელების ტრანსფერზე მუშაობთ?**

— არჩილ სახვაძისა და კიევის „დინამოს" ვარიანტზე. მალხაზ ასათიანს რაც შეეხება, მასთან ქუთაისის „ტორპედოსთან" ერთად ვუძღვები კიევის „დინამოში" შესაძლო ტრანსფერს. ვალტერ გუჩუას ამერიკული მეიჯორ-ლიგის „დალასში" გადასვლაც ჩემს კონტროლქვეშაა.

**— ფაქტია, საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით ღარიბია, ახალგაზრდებიდან კი მხოლოდ ზურაბ ხიზანიშვილმა თუ მოახერხა ევროპული კარიერის შექმნა. თქვენ, როგორც ფიფას ქართველი აგენტი, როგორ შეაფასებთ ვითარებას — ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს ძალიან მცირე შანსი აქვთ, ნორმალურ ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებში გააგრძელონ კარიერა?**

— ჩვენ მაინც რაღაც ჩარჩოებში ვართ მოქცეულნი. მოგეხსენებათ, აღმოსავლეთევროპელი ლეგიონერების რაოდენობა ლიმიტირებულია, არის სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც. მაგალითად, აფრიკა. აფრიკელი ფეხბურთელი უფრო იაფია, ვიდრე ქართველი, რადგან ჩვენთან უფრო ცივილიზებული სისტემაა, თანაც აფრიკელები უფრო ათლეტურები არიან და შესწევთ ძალა, ევროპულ გუნდში ერთ წელიწადში პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. ენობრივი ბარიერიც თავისას შვრება. ზოგი აფრიკელისთვის, ვთქვათ, ფრანგული იგივე მშობლიური ენაა. ამიტომ ჩემს ყველა კლიენტს ვთხოვ, ერთი უცხო ენა საშუალო დონეზე მაინც ისწავლონ. თუმც, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა, ჩემი აზრით, მაინც ისაა, რომ ქართული საფეხბურთო სკოლებიდან არასათანადოდ მომზადებული ახალგაზრდები გამოდიან — ისინი არ არიან მზად პროფესიონალურ კლუბებში მოსახვედრად.

**— დღესდღეობით ვინ მიგაჩნიათ სატრანსფეროდ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელად საქართველოში?**

— ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. ისე, იგივე ბობოხიძე, ბურდული, ასათიანი და შაშიაშვილი საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელები არიან. საერთოდ, შემტევები სატრანსფეროდ უფრო საინტერესონი არიან.

**— თქვენი უცხოელი პარტნიორები ბენეშები და ერთი ინგლისელი აგენტი არიან?**

— ლონდონელი კრის ოფარელი ახალგაზრდა გახლავთ, რაც მასთან ურთიერთობას მიადვილებს. ივან ბენეში და მისი ვაჟი ივან მარკო ბენეშიც ჩემი პარტნიორები არიან. ბენეშებთან ტრადიციული, ოჯახური ახლობლობაც მაკავშირებს — ერთმანეთის გამო შევგვიძლია, სხვა საქმეები გადავდოთ.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ ბიზნესით კმაყოფილი ხართ?**

— თუ ამ ეტაპზე ყველა ზემოთ ნახსენებ წამოწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან, ეს სავსებით წარმატებული გამოდგება. აპრილ-მაისიდან კი ახალი ვარიანტებიც გამოჩნდება. უცხოური კლუბების მესვეურები ფეხბურთელის შერჩევაში იშვიათად თუ ცდებიან და ლეგიონერსაც ერთი თვალის შევლებით არ აფასებენ.

**— როგორ ფიქრობთ, მაქსიმუმ რა ფასი აქვს საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელს?**

— სატრანსფეროდ საინტერესო ქართველი ფეხბურთელები ახლა თვითდამკვიდრების სტადიაში არიან. მათი წმინდა სტატისტიკური მონაცემები მდიდარი უნდა იყოს, რათა მეტი ფასი დაედოთ. დღესდღეობით კი საქართველოში მოთამაშე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელის მაქსიმალური ფასი 300-400 ათასი დოლარია.

**დავით თავართქილაძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVI ტური

**ასტონ ვილა 1:1 ჩელსი**

1:0 მერსონი (28), 1:1 ლამპარდი (65)
ასტონ ვილა: ენკელმანი, მ. დილანი, მელბერგი (ბერი 46), სტონტონი, ჯ. სამუელი, ჰიჯი, ლ. ჰენდრი (სტოუნი 67), ჯ. ბოატენგი, მერსონი, ვასელი (დაბლინი 87), ა. ანჯელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ჩელსი: კუდიჩინი, ფერერი (ძოლა 63), დესაი, ტერი (კონესი 76), ლე სო, დალა ბონა, პეტი, ლამპარდი, სტანიჩი, გუდიონსენი (ფორსელი 63), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სამუელი, დალა ბონა
მსაჯი: დარკინი
41 137 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 0:1 სანდერლენდი**

0:1 ქუინი (80)
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, ბარტონი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ზავაგნო, დ. პაუელი (ბოერტიენი 54), ლი, დიუკრო, ჯ. მორისი (დ. ბარტონი 77), რავანელი, კრისტი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, ბიორკლუნდი (დ. უილიამსი 75), კრადოკი, გრეი, მაკატირი, კ. რეინა, შვარცი, არკა (ბელიონი 79), ნ. ქუინი (კილი 86), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ფილიპსი
მსაჯი: პოლი
31 771 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:2 მანჩესტერი**

0:1, 0:2 სოლსკიაერი (33, 74)
ჩარლტონი: დ. კილი, იანგი, ჟორჟე კოშტა, ფიში, კ. პაუელი, ჯ. რობინსონი, ბარტ-უილიამსი, პარკერი, გ. სტიუარტი (სვენსონი 72), იუელი (ჯ. ჯონსონი 82), ლისბი (კონჩესკი 82)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ბლანი, ფ. ნევილი, სილვესტრი, ბექჰემი, როი კინი, სკოულზი, გიგზი (ბათი 88), ვან ნისტელროი (ვერონი 66), სოლსკიაერი (ფორლანი 78)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფ. ნევილი
მსაჯი: უილი
26 475 მაყურებელი

**ევერტონი 0:1 არსენალი**

0:1 ვილტორდი (62)
ევერტონი: სიმონსენი, კლარკი (ჯ. მური 86), ვეირი, სტაბსი, ანსუორთი (გასკოინი 70), ბლომქვისტი (პემბრიჯი 77), კარსლი, ლინდეროთი, ჟინოლა, ნეისმიტი, ა. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
არსენალი: რ. რაიტი, ლუზინი, სტეპანოვსი, ს. კემპბელი, ადამსი (დიქსონი 31), პარლორი, ვიეირა, გრიმანდი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ს. კემპბელი, სტეპანოვსი, პარლორი, ლუზინი, ანრი
მსაჯი: უინტერი
30 859 მაყურებელი

**ბოლტონი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 გარდნერი (38)
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, უიტლოუ, ჩარლტონი, ტომპსონი, ფარნუორთი (სოუთჰოლი 46), ნოლანი, გარდნერი, რიკეტსი (ჰოლდსუორთი 83), ბობიჩი (ჰანსენი 86)
მწვრთნელი: სემ ოლარდაისი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შეპლი, დეილი, ფოქსი, მინტო, ჯ. კოული, ლომასი, ლაბანტი, კანუ, დეფო, გარსია (კიტსონი 77)
მწვრთნელი: გლენ როუდერი
გაფრთხილება: ფარნუორთი, ფოქსი, კანუ, ლომასი
მსაჯი: ბარი
24 342 მაყურებელი

**ფულჰემი 2:0 ბლეკბერნი**

1:0 ჰეილსი (31), 2:0 მალბრანკი (63)
ფულჰემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, გომა, კოლინზი, მალბრანკი, ლეგვინსკი, შ. დევისი, მარლე (უოლკოტი 90), ჰეილსი
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ბლეკბერნი: ფრიდელი, თუგაი, ბერგი, შორტი, კერტისი (ჰინჩი 68), მ. ტეილორი, დაფი, დანი, იანსენი (მ. ჯონსონი 90), ენდი კოული, ჰაილი (გილესპი 69)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: მალბრანკი, მელვილი, მარლე, ჰაილი, თუგაი
გაძევება: შორტი (90)
მსაჯი: ჰელსი
19 580 მაყურებელი

# 4+2=ლივერპულს





ლივერპულელთა ექვს გოლში ორი ემილ ჰესკისა იყო, ერთი აბელ შავიერის

**იფსვიჩი 0:6 ლივერპული**

0:1 შავიერი (16), 0:2 ჰესკი (43), 0:3 ჰიპია (52), 0:4, 0:5 ოუენი (62, 71), 0:6 ჰესკი (90)
იფსვიჩი: ე. მარშალი, მაკინი, მაკგრეივი, ჰრეიდარსონი, ვენუსი, ჰოლანდი, კლეპამი, ჯ. რაიტი (მარკუს სტიუარტი 38), პერალტა, ა. არმსტრონგი (მეჯილტონი 71), მ. ბენტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ლივერპული: დუდეკი (არფექსადი 55), ს. რაიტი, ანშო, ჰიპია, შავიერი, მერფი, ჰამანი, ჯერარდი (მაკალისტერი 81), რიისე (ანელკა 73), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
მსაჯი: ბენეტი
25 608 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:2 ლიდსი**

0:1 ბაკე (19), 1:1 ინსი (51), 1:2 ფაულერი (54), 2:2 უინდასი (88)
მიდლსბრო: კროსლი, ფესტა, საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ, გეიტი (მარინელი 46), ინსი, გრინინგი (უინდასი 79), სტამპი (ბოკშიჩი 46), ვილნა, კარბონე
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური (უილკოქსი 86), ბაკე, ბეტი, კიუელი, ვიდუკა, ფაულერი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ინსი, ბაკე
მსაჯი: ბერი
30 221 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:1 საუთჰემპტონი**

1:0 რობერი (24), 1:1 პახარსი (39), 2:1, 3:1 შირერი (29, 45პ)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი, დისტინი (რ. ელიოტი 82), სოლანო, მაკკლენი (ჯენასი 76), სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, პ. უილიამსი, ბრიჯი, სვენსონი, ოკლი (ტესემი 74), ტელფერი (დელაპი 48), მარსდენი, კ. დევისი, პახარსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაკანი
გაფრთხილება: დევისი
მსაჯი: ნაითი
51 857 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:1 ლესტერი**

1:0 ანდერტონი (37), 2:0 დევისი (61), 2:1 ოუქსი (79)
ტოტენჰემი: სალივანი, პერი (ტელველი 65), კინგი, რიჩარდსი, ტარიკო, ანდერტონი, შერვუდი, ეთერინგტონი, ს. დევისი, ლ. ფერდინანდი (რებროვი 83), ივერსენი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ლესტერი: ი. უოკერი, ფ. სინკლერი, დავიდსონი, მ. ელიოტი, უ. ლაურსენი, სევიჯი, ს. ოუქსი, დ. სტიუარტი, იმპი, სკოუკროფტი, პიპერი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
გაფრთხილება: იმპი
მსაჯი: დურკინი
35 973 მაყურებელი

**წინა** კვირას მოგახსენებდით, „ლივერპულმა“ გასვლით სალიგო თამაშში „ლიდსს“ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა, რაც მოულოდნელი ამბავი ჩანს, რადგან ფილ ტომპსონის შეგირდები სტუმრად ერთ, პა-პა, ორ გოლს თუ შეაგდებენ ხოლმე-თქო. ამ კვირას კი რის ოთხი, „ლივერპულმა“ ექვსი უპასუხო ბურთი გაიტანა „პორტმან როუდზე“ იფსვიჩელ ტრაქტორისტთა კარში.

ვისაც გაუხარდა, ყველამ შეაგდო, თვით აბელ შავიერმაც, რომელიც „ევერტონიდან“ „ენფილდზე“ გადაბარგების შემდეგ პირველად იყო სასტარტოში. პორტუგალიელმა ანგარიში გახსნა და ახალი წლის შემდეგ ყველა სალიგო თამაშის მომგებმა „იფსვიჩმა“ თითქოს ბრძოლაც წამოიწყო, მაგრამ სტუმრები ისე დაიქოქნენ, რომ პატარა გუნდი ველარაფერს გახდა. საუცხოოდ ითამაშა მაიკლ ოუენმა, რომელიც ერთხანს მახვილგონივრული პასებით ამარაგებდა ემილ ჰესკის, თამაშის ბოლოს კი წინ წაიწია და დუბლიც შეასრულა. თუმცა, თამაშის სული და გული მაინც სტივენ ჯერარდი იყო, რომელიც, სხვათა შორის, დაშავდა და ამ კვირაში, სანაკრებო ამხანაგურის თამაში გაუჭირდება.

„ისინი თამაშობდნენ როგორც კაცები, ჩვენ კი როგორც ბიჭბუჭები. მთელი მოედანი წაგვართვეს და შედეგიც სახეზეა“ — თქვა დამარცხებულთა მენეჯერმა ჯორჯ ბარლიმ.

„ლივერპულმა“ მეორე ადგილი შეინარჩუნა და საჩემპიონო ფორმაშია. მაგრამ საჩემპიონო ფორმაშივეა „ნიუკასლი“, რომელმაც შინ ბრძლვენა გაადინა „საუთჰემპტონს“. ლორან რობერმა ბარე ოცდათხუთმეტი იარდიდან შემოატარა ბურთი სამხრეთელთა ცოცხალ კედელს და ანგარიში გახსნა. ამას ალან შირერის დუბლი მოჰყვა, დუბლის შუაში კი მარიან პახარსმა შეაგდო ერთი საპასუხო.

გამარჯვებულთა მენეჯერმა ბობი რობსონმა კი წინა კვირაში ოცდაერთი წლის გოგონაზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი კრეიგ ბელამი დაიცვა: „დღეს ფეხბურთი იყო და მან ბრწყინვალედ ითამაშა. პენალტის უფლებაც მან მოიპოვა შირერისთვის“.

„ნიუკასლი“ კი ინარჩუნებს ლიდერობას დაკარგული ქულებით.

დაკარგული ქულებით მეორეა „არსენალი“, რომელიც კვლავ დაუმარცხებელია გასვლით თამაშებში. სილვენ ვილტორდის ყარაულის თოფივით გავარდნილმა გოლმა მეთოფეებს სამი ქულა მოუტანა „ევერტონთან“ მატჩში, თუმცა ტკბილეულები („ევერტონის“ მეტსახელია) მთელი ძალებით უტევდნენ და „ასტონ ვილადან“ გადაბარგებული დავიდ ჟინოლაც ახლო იყო მიზანთან, მაგრამ საპასუხო გოლი არ გასულა.

ჟინოლა და გაზა კი სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან გასავარდნ სამეულს, სადაც უიმედოდაა ჩავარდნილი შაბათს „ტოტენჰემთან“ დამარცხებული „ლესტერი“.

„დერბიმ“ ჯონ გრეგორის ხელშიაც წააგო, ნილ ქუინის გოლმა ამოსუნთქვის საშუალება მისცა „სანდერლენდის“ მოსახსნელად გამზადებულ მენეჯერ პიტერ რიდს, „ბლექბერნმა“ კი კვლავ წააგო და საშინელ სამეულში მაღალმდგომთან სამქულიანი სხვაობით დაყვინთა.



ჩარლტონი — მანჩესტერი. მასპინძლები ოლე გუნარ სოლსკიაერმა (მარჯვნივ) გატეხა

„მიდლსბრომ“ [illegible] გზაარეულ „ლიდს“, რომელმაც ძველი ძალმოსილებით დაიწყო თამაში „რივერსაიდზე“ და ორჯერ იგებდა კიდეც. მაგრამ ჯერ იყო და ნაიჯელ მარტინს ჩაეძინა პოლ ინსის უშორესი დარტყმისას და მერე კიდევ, შეხვედრის ბოლო წუთზე დინ ვინდასმა ბენიტო კარბონეს კუთხურიდან დახვეულს სწორად შეუშვირა თავი. „იღბალი — თქვა იორკშირელთა თავკაცმა — იღბალი გვაკლია. ასე თუ გაგრძელდა, ინტერტოტოლა შეგვრჩება ხელში“.

თუმცა, ცხრილში „ლიდსის“ მეზობელმა „ჩელსიმაც“ ფრედ ითამაშა ბირმინგემში, სადაც „ვილას“ თავკაცის თანამდებობაზე პირველად გაუძღვა თამაშს გრემ ტეილორი. „ბოლტონმა“ კი თავისი მეკარის, იუსი იასკელაინენის ბრწყინვალე თამაშის წყალობით და კენტი გოლით სძლია „ვესტ ჰემს“.

ცხრილის ლიდერად კი „მანჩესტერი“ რჩება, რომელმაც ოლე გუნარ სოლსკიაერის დუბლით ჩარლტონში მოიგო. ჩარლტონელ გრემ სტიუარტს საპასუხო არ ჩაუთვალეს თამაშგარეს მოტივით. სოლსკიაერის მეორე გოლისას კი შეუმჩნეველი დარჩა, როგორ ჩამოაშორა გიგზმა თამაშს მოწინააღმდეგის მცველი. „ჩარლტონი“ არ დანებებულა, მაგრამ მაინც წააგო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## პირველი დივიზიონი

### I დივიზიონი. XXXIII ტური

**კრ. პალასი 0:2 ვულვერჰემპტონი**
0:1 სტაროსტა (13), 0:2 ნიუტონი (65)
**მანჩესტერ სიტი 3:2 პრესტონი**
0:1 მაკენი (47), 1:1 რაიტ-ფილიპსი (49), 2:1 ჰოუი (56), 3:1 გოუტერი (74), 3:2 ანდერსონი (90)
**უოტფორდი 2:0 გრიმსბი**
1:0 რობინსონი (35), 2:0 ნოელ-უილიამსი (46)
**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ნორვიჩი**
1:0 დიჩიო (41)
**ბარნსლი 1:1 ბარნლი**
1:0 ბარნარდი (5), 1:1 ტეილორი (37)
**ქრიუ 1:6 ქოვენტრი**
0:1 დელორჯი (37), 1:1 ჰალსი (45), 1:2, 1:3 ჰიუზი (45, 47), 1:4 დელორჯი (57), 1:5 ტომპსონი (67), 1:6 ჰიუზი (70)
**ჯილინგემი 0:0 უიმბლდონი**
**ნოტინგემი 1:2 მილუოლი**
0:1 აიფილი (6), 0:2 ჩედილი (41), 1:2 პრუტონი (86პ)
**როტერჰემი 3:2 სტოკპორტი**
1:0 სედგვიკი (33), 1:1 პარდიკერი (77), 2:1 რობინსი (81პ), 2:2 დილანი (86), 3:2 რობინსი (89)
**შეფილდ იუნაიტედი 4:3 პორტსმუთი**
0:1 კრუში (6), 1:1 მონტგომერი (18), 2:1 დარლინგი (26), 3:1 ასაბა (40), 3:2 პროსინეცკი (45), 3:3 ქრომბი (60), 4:3 დარლინგი (90პ)
**უოლსოლი 0:3 შეფილდ უენსდი**
0:1 ჯოუნსი (32), 0:2 კუკი (79), 0:3 სიბონი (89)
**ბრედფორდი — ბირმინგემი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 32 | 20 | 4 | 8 | 74:42 | 64 |
| ვულვზი | 32 | 18 | 7 | 7 | 50:28 | 61 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 18 | 6 | 9 | 38:23 | 60 |
| მილუოლი | 33 | 16 | 9 | 8 | 54:35 | 57 |
| ბარნლი | 31 | 16 | 7 | 8 | 53:44 | 55 |
| ქოვენტრი | 33 | 16 | 5 | 12 | 47:33 | 53 |
| კრ. პალასი | 33 | 17 | 2 | 14 | 58:47 | 53 |
| ნორვიჩი | 33 | 16 | 5 | 12 | 44:42 | 53 |
| პრესტონი | 33 | 13 | 11 | 9 | 52:44 | 50 |
| ბირმინგემი | 31 | 13 | 8 | 10 | 46:37 | 47 |
| ჯილინგემი | 33 | 13 | 8 | 12 | 49:46 | 47 |
| უოტფორდი | 32 | 12 | 8 | 12 | 47:38 | 44 |
| უიმბლდონი | 31 | 11 | 10 | 10 | 47:42 | 43 |
| ნოტინგემი | 33 | 10 | 13 | 10 | 36:31 | 43 |
| შეფილდი | 33 | 10 | 13 | 10 | 37:40 | 43 |
| პორტსმუთი | 32 | 11 | 7 | 14 | 50:55 | 40 |
| ბრედფორდი | 31 | 11 | 6 | 14 | 53:57 | 39 |
| ბარნსლი | 33 | 8 | 13 | 12 | 48:60 | 37 |
| როტერჰემი | 32 | 8 | 11 | 13 | 39:50 | 35 |
| ქრიუ | 30 | 9 | 8 | 13 | 30:48 | 35 |
| უენსდი | 33 | 8 | 10 | 15 | 36:53 | 34 |
| უოლსოლი | 33 | 8 | 7 | 18 | 36:55 | 31 |
| გრიმსბი | 33 | 6 | 10 | 17 | 26:55 | 28 |
| სტოკპორტი | 33 | 2 | 8 | 23 | 31:76 | 14 |

## მეორე დივიზიონი

33-ე ტური: ბლეკპული — პიტერბორო 2:2; ბრენტფორდი — ბორნმუთი 1:0; კემბრიჯი — კოლჩესტერი 1:2; კარდიფი — სუინდონი 3:0; ჩესტერფილდი — ბერი 2:0; ჰადერსფილდი — ტრანმერი 2:1; ნორთჰემპტონი — ქუინზ პარკ რეინჯერსი 2:2; ოლდემი — ბრაიტონი 2:0; რედინგი — ნოტსი 2:1; სტოკი — პორტ ვეილი 0:1; რექსემი — უიგანი 2:0; უიკომბი — ბრისტოლი 2:1

## მესამე დივიზიონი

33-ე ტური: როჩდეილი — ჰალიფაქსი 2:0; დარლინგტონი — შრუსბერი 3:3; ექსეტერი — ჩელტენჰემი 0:2; ჰარტლპული — ტორკი 4:1; ჰალი — რაშდენი 2:1; კიდერმინსტერი — კარლაილი 2:2; ლეიტონი — სუონსი 2:2; ლინკოლნი — მაკლსფილდი 1:0; პლიმუთი — მენსფილდი 1:0; როშდეილი — ლუტონი 1:0; სკანთორპი — ოქსფორდი 1:0; საუთენდი — იორკი 0:1

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 27 | 17 | 3 | 7 | 66:35 | 31 | 54 | 14 | 9 | 1 | 4 | 35:15 | 20 | 28 | 13 | 8 | 2 | 3 | 31:20 | 11 | 26 |
| 2 ლივერპული | 27 | 15 | 7 | 5 | 44:24 | 20 | 52 | 12 | 6 | 4 | 2 | 15:10 | 5 | 22 | 15 | 9 | 3 | 3 | 29:14 | 15 | 30 |
| 3 ნიუკასლი | 26 | 16 | 4 | 6 | 51:33 | 18 | 52 | 13 | 9 | 1 | 3 | 25:15 | 10 | 28 | 13 | 7 | 3 | 3 | 26:18 | 8 | 24 |
| 4 არსენალი | 26 | 14 | 9 | 3 | 51:30 | 21 | 51 | 12 | 5 | 4 | 3 | 24:20 | 4 | 19 | 14 | 9 | 5 | 0 | 27:10 | 17 | 32 |
| 5 ჩელსი | 26 | 11 | 11 | 4 | 46:26 | 20 | 44 | 12 | 6 | 4 | 2 | 26:12 | 14 | 22 | 14 | 5 | 7 | 2 | 20:14 | 6 | 22 |
| 6 ლიდსი | 26 | 11 | 10 | 5 | 37:29 | 8 | 43 | 12 | 5 | 5 | 2 | 20:15 | 5 | 20 | 14 | 6 | 5 | 3 | 17:14 | 3 | 23 |
| 7 ასტონ ვილა | 26 | 9 | 11 | 6 | 32:29 | 3 | 38 | 14 | 6 | 6 | 2 | 16:11 | 5 | 24 | 12 | 3 | 5 | 4 | 16:18 | -2 | 14 |
| 8 ტოტენჰემი | 26 | 10 | 5 | 11 | 37:35 | 2 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 26:20 | 6 | 24 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:15 | -4 | 11 |
| 9 ფულჰემი | 25 | 8 | 11 | 6 | 25:23 | 2 | 35 | 14 | 6 | 6 | 2 | 18:11 | 7 | 24 | 11 | 2 | 5 | 4 | 7:12 | -5 | 11 |
| 10 ჩარლტონი | 26 | 8 | 9 | 9 | 30:32 | -2 | 33 | 14 | 4 | 4 | 6 | 17:21 | -4 | 16 | 12 | 4 | 5 | 3 | 13:11 | 2 | 17 |
| 11 სანდერლენდი | 26 | 8 | 7 | 11 | 21:30 | -9 | 31 | 13 | 5 | 5 | 3 | 13:11 | 2 | 20 | 13 | 3 | 2 | 8 | 8:19 | -11 | 11 |
| 12 ვესტ ჰემი | 26 | 8 | 7 | 11 | 29:42 | -13 | 31 | 12 | 6 | 4 | 2 | 17:7 | 10 | 22 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:35 | -23 | 9 |
| 13 იფსვიჩი | 26 | 8 | 6 | 12 | 34:40 | -6 | 30 | 14 | 5 | 2 | 7 | 18:20 | -2 | 17 | 12 | 3 | 4 | 5 | 16:20 | -4 | 13 |
| 14 საუთჰემპტონი | 26 | 9 | 3 | 14 | 31:41 | -10 | 30 | 12 | 5 | 1 | 6 | 14:16 | -2 | 16 | 14 | 4 | 2 | 8 | 17:25 | -8 | 14 |
| 15 ევერტონი | 26 | 7 | 7 | 12 | 26:33 | -7 | 28 | 14 | 6 | 2 | 6 | 18:17 | 1 | 20 | 12 | 1 | 5 | 6 | 8:16 | -8 | 8 |
| 16 მიდლსბრო | 25 | 7 | 7 | 11 | 24:33 | -9 | 28 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 16 | 13 | 3 | 3 | 7 | 9:17 | -8 | 12 |
| 17 ბოლტონი | 26 | 6 | 10 | 10 | 30:42 | -12 | 28 | 13 | 3 | 5 | 5 | 10:21 | -11 | 14 | 13 | 3 | 5 | 5 | 20:21 | -1 | 14 |
| 18 ბლექბერნი | 26 | 6 | 7 | 13 | 32:36 | -4 | 25 | 13 | 4 | 4 | 5 | 21:17 | 4 | 16 | 13 | 2 | 3 | 8 | 11:19 | -8 | 9 |
| 19 დერბი ქაუნთი | 26 | 6 | 4 | 16 | 18:43 | -25 | 22 | 14 | 5 | 3 | 6 | 13:15 | -2 | 18 | 12 | 1 | 1 | 10 | 5:28 | -23 | 4 |
| 20 ლესტერი | 26 | 3 | 8 | 15 | 18:46 | -28 | 17 | 12 | 1 | 5 | 6 | 8:23 | -15 | 8 | 14 | 2 | 3 | 9 | 10:23 | -13 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 18 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 18 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| ოუენი (ლივერპული) | 14 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 12 |
| სოლსკიაერი (მანჩესტერი) | 12 |

### XXVII ტური

23 თებერვალი

| | |
|---|---|
| არსენალი | ფულჰემი |
| ბლექბერნი | იფსვიჩი |
| ჩელსი | ტოტენჰემი |
| ლიდსი | ჩარლტონი |
| ლესტერი | დერბი ქაუნთი |
| ლივერპული | ევერტონი |
| მანჩესტერი | ასტონ ვილა |
| საუთჰემპტონი | ბოლტონი |
| სანდერლენდი | ნიუკასლი |
| ვესტ ჰემი | მიდლსბრო |

## გერმანია

### ბუნდესლიგა XXII ტური

**ჰანზა 4:0 ფრაიბურგი**

1:0 დი სალვო (10), 2:0 ლანგე (24), 3:0 დი სალვო (61), 4:0 რიდლევსკი (71)
ციტიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (64, მეკარე)
ჰანზა: შობერი (ბროიტიგამი 67), ლანგე, ოსვალდი, იაკობსონი, ემარა, ლანცი, მაული, იასგერი (ვიბრანი 74), რიდლევსკი, დი სალვო, ბაიერლე (არვიდსონი 82)
მწვრთნელი: რალფ ვე
ფრაიბურგი: როისი, შ. მიულერი, კრუზე, ჰერმელი (კონდე 80), ვილი (ფ. გერბერი 65), ა. ცაიერი, ციტიშვილი, კობიაშვილი, რამდანე, იაშვილი, ბრუნსი (ვ. ბუტი 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: იასგერი, რიდლევსკი, რამდანე
მსაჯი: შტრამპე
12 100 მაყურებელი

**ჰამბურგი 4:0 კიოლნი**

1:0 ფუკალი (34), 2:0 სიხონე (63პ.კ.), 3:0 ბარბარეზი (67), 4:0 რომეო (83)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი (მაიერი 84), ჰერჩი, ჰოოგმა, იუფალუში, ვიკი, პრეგერი (მაჰდავიკია 72), ჰოლერბახი, კარდოზო (ანტარი 62), რომეო, ბარბარეზი
მწვრთნელი: კურტ იარა
კიოლნი: პროელი, ცელევსკი, ჩიკონი, სიხონე, რებე (ვოიტი 74), ბალიტში, შერცი (ნესუ 60), შპრინგერი, ბარანეკი, კროიცი (რაიხი 74), ლასლანდი
მწვრთნელი: კრისტოფ ჯონი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, პრეგერი, ვიკი, ბარანეკი, შერცი, რებე
გაძევება: ლასლანდი (87)
მსაჯი: მაიერი
38 719 მაყურებელი

**ბაიერნი 1:1 დორტმუნდი**

0:1 ამოროზო (78), 1:1 ელბერი (81)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, იერემიესი (სანტა კრუზი 69), ჰარგრივსი, შოლი (სერჯიო 88), ეფენბერგი, ელბერი, იანკერი (კ. პიზარო 76)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, იურგენ კოლერი, როიტერი, დედე, კელი, ჰაინრიხი (ევანილსონი 37), რიკენი (ამოროზო 65), ევერტონი, როსიცკი (სტევიჩი 80), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: იანკერი, კანი, ლიზარაზუ, კუფური, კოვაჩი, როიტერი, ევანილსონი
მსაჯი: შტაინბორნი
54 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 აილტონი (51)
ვერდერი: ფ. როსტი, ველაგე (სტალტერი 86), ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფრინგსი, ფ. ერნსტი (ბოროვსკი 31), სკრიპნიკი, ლისტეში, აილტონი (კლასნიჩი 80), ბოდე
მწვრთნელი: თომას შააფი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი (ხრისტოფი 53), ჰენგენი, შტრასერი, ბასლერი (ბიელიცა 68), რამზე, რიდლი, ლინკოლნი, აჯიჩი (გრამოზისი 31), ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ბაუმანი, ველაგე, კლოზე, რიდლი, ხრისტოფი, შტრასერი
მსაჯი: ფროილიხი
27 100 მაყურებელი

**ლევერკუზენი 5:0 მიონხენგლადბახი**

1:0 ბალაკი (9), 2:0 ნოივილი (17), 3:0 შნაიდერი (31), 4:0 რამელო (84), 5:0 ბერბატოვი (87)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე (ჟივკოვიჩი 68), რამელო, ბ. შნაიდერი, ბალაკი (ვრანიეში 84), ბაშტურქი, ზე რობერტო, ნოივილი (ბრდარიჩი 68), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, პლეტში, მიუნხი, ნილსენი, ჰაუსვაილერი, ულიხი, კორჟინიეცი (ასანინი 60), ვან ლენტი, ფელგენჰაუერი (დემო 46)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: კორელი, პლასენტე, ბალაკი, ზე რობერტო, ლუსიო, ჰაუსვაილერი, კორელი
გაძევება: კორელი (67)
მსაჯი: შტარკი
22 500 მაყურებელი

# ელბერის ყისმათი მომეცით და...



REUTERS მიუნხენიდან

მიუნხენი — დორტმუნდი. მარსიო ამოროზომ ჯარიმა გოლად აქცია

**შალკე 4:0 ზანქტ პაული**

1:0 სანდი (9), 2:0 მიოლერი (24), 3:0 ბიომე (54პ), 4:0 რეკი (80პ)
შალკე: რეკი, უდე კამფსისი, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, კმეტში, ვილმოტსი, ასამოა, ბიომე (ბიესკერი 73), მიოლერი (ვერმანტი 52), ე. მბენზა (ჯორჯევიჩი 64), სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ზანქტ პაული: ჰენცლერი, სტანისლავსკი, გიბსი, კოზალევსკი (ტრულსენი 30), კონცი, რანი, ბერგი (ბარისი 61), ბაირამოვიჩი, მეგლე, პატშინსკი, რატი (ამადუ 86)
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: ვილმოტსი, კმეტში, უდე კამფსისი, ტრულსენი, ჰენცლერი, კონცი
გაძევება: ბაირამოვიჩი (53)
მსაჯი: ფლაიშერი
60 190 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 შტუტგარტი**

1:0, 2:0 მარსელინიო (16, 37)
ჰერტა: კირალი, შმიდტი, ვან ბურიკი (სვერისონი 64), სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, ბაინლიხი, მარსელინიო (მარქსი 86), გოორი, ალვეში (ტრეტიაკი 76), პრეეცი
მწვრთნელი: ფალკო გოეტცი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, მაისნერი, ტიფერტი (გლებში 57), ბალაკოვი, ზაიცი, განეა
მწვრთნელი: ფელიქს მაგატი
გაფრთხილება: პრეეცი, ბორდონი, სვერისონი, ტიფერტი, ბორდონი, მაისნერი
გაძევება: ბორდონი (70)
მსაჯი: შიბელი
25 329 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:1 კოტბუსი**

1:0, 2:0 პონტე (12, 24), 2:1 და სილვა (90)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, ფრანცა, ბილისკოვი, ვაიზერი (რაუ 88), კარჰანი, კუჰბაუერი, დ. მუნტიანუ, პონტე (მარბე 74), გ. პეტროვი (თოსკოვაკი 74), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ტ. როსტი, ბეეკი, მატიუში, რეზნიკმაიერი, ვიშნე (ჰელბიგი 46), შროიტერი, ვაგეფელდი, ფრანკლინი (რაიხენბერგერი 68), ტომიჩი (სებოკი 68)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: მუნტიანუ, ფრანცა, კლიმოვიჩი, ჰელბიგი, ტომიჩი, სებოკი
მსაჯი: გაგელმანი
11 217 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:1 მიუნხენი**

1:0 რინკი (35), 1:1 ბიროვკა (48), 2:1 ტავკარი (65)
ნიურნბერგი: კამპა, სანე, კოში, ნიკლი, ლ. მიულერი, ტავკარი, პასლაკი (შტელე 79), კრზინოვეკი, იაროლიმი (მიოკელი 90), კაკაუ (მიხალკე 86), რინკი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
მიუნხენი: იენში, ტ. ჰოფმანი, ვოტავა, გრაილიხი (დედენი 46), ჩერნი, რისეთი, გიორლიცი (შუკერი 70), ბიროვკა, შტილერი, აგოსტინო, მაქსი (მიურკო 79)
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: კაკაუ, იაროლიმი, ვოტავა, იენში, ჩერნი
მსაჯი: კემლინგი
38 200 მაყურებელი

**მორჩა**, გათავდა, „ბაიერნი" წლეულს ჩემპიონი ველარ გახდება... ასე ვიტყვით ხოლმე. მერე უცებ ყველაფერი აირევა, „ესენი" ყველაფერს მოიგებენ, „ისინი" ერთმანეთს დაჭამენ, ბოლო ტურში ვერ გაიმარჯვებენ და პირველობა ისევ ბაიერნელებს რჩებათ.

ასეთი უცნაური შინაარსი აქვს ბოლო დროის ბუნდესლიგას. თუმცა წლეულს მიუნხენელებს, ვფიქრობთ, მართლაც უკან დახევა მოუწევთ. „დორტმუნდთან" ვერმოგება, თანაც ასეთი უსახური თამაში მათი ფანებისთვის კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს.

პირველობა იქით იყოს და ბაიერნელებს ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვისაც გვარიანი ბრძოლა მოუწევთ. აი, მაგალითად, გაზეთი „ბილდი" ხუმრობის ხასიათზეც დამდგარა და მიუნხენელებს ახსენებს: გუნდებს, რომლებსაც ინტერტოტოზე თამაში სურთ, განაცხადი პირველ მარტამდე უნდა შეიტანონო...

მოკლედ, „ბაიერნი" ცუდ დღეშია. წინა შაბათსაც ახალი არაფერი უჩვენებია. მენეჯერ ული ჰოინესის გაკიცხვამ ეტყობა იმოქმედა და მიუნხენელებს ქინიანობა არ დაეწუნებოდათ, მაგრამ თამაში ვერააწყვეს. განსაკუთრებით ნახევარდაცვა სცოდავდა. იერემისი და შოლი ტრავმების მერე ჯერაც ვერ ჩამდგარან ყალიბში, ეფენბერგი კი ნელ-ნელა ბრეჟნევს ემსგავსება.

„დორტმუნდმა" სწორედ ნახევარდაცვის მობილურობის ხარჯზე აჯობა მეტოქეს და რომ არა ელბერის გაუგებარი გოლი, მიუნხენიდან სამ ქულასაც წაიღებდა. განსაკუთრებით 22 წლის საყრდენი, სებასტიან კელი გამოირჩეოდა, რომელიც „ფრაიბურგიდან" „დორტმუნდში" ამ ზამთარს გადავიდა.

დასაწყისშივე სტუმრებმა ორი კარგი შანსი ვერ გამოიყენეს. ჯერ ბრაზილიელმა ევერტონმა „ივაჟკაცა", მერე ტომაშ როსიცკი დაუსხლტა მცველებს, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ კანმა ივარგა. საინტერესოა, რომ საწყის 20 წუთში მასპინძლებმა ერთი ხეირიანი შეტევა ვერ მოახერხეს, დაცვაში კი ხშირად ცდებოდნენ. თუმცა პირველივე იერიში კინაღამ გოლით დაამთავრეს, როცა სტუმრების ჩეხეთელი თამაშგარეს შეხორცებულიყო ძუძუნენ და შოლმა ელბერი მეკარე ლემანს შეატოვა. ეგ არის, ბრაზილიელმა ზუსტად ვერ დაარტყა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. ბორუსიელები უფრო დალაგებულად თამაშობდნენ და ამოროზოს გოლიც ლოგიკური იყო. შეცვლაზე შესულმა ბრაზილიელმა ოსტატურად შეასრულა ჯარიმა. მაგრამ სამი წუთიც არ გასულიყო, რომ მეკარე ლემანმა უხეში შეცდომა დაუშვა და ჯოვანი ელბერმა რაღაც უცნაური თავურით გაათანაბრა.

მერე მათიას ზამერმა თქვა, მოპოვებული ქულით კმაყოფილები ვართო, ხოლო ჰიცფელდმა, სტუმრებმა ეს შედეგი დაიმსახურეს, ჩვენ კი კარგა ხანია საკუთარ თამაშს ვერ მივაგენითო.

მოკლედ, „დორტმუნდი" ისევ ლიდერი, ანუ როგორც გერმანიაში იტყვიან, ტაბელანფიურერია, „ბაიერნი" კი მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა.

ორი წაგების შემდეგ „ლევერკუზენმა" წინა ტურის გმირი „მიონხენგლადბახი" 5:0 გაანადგურა და ლიდერს ორი ქულითღა ჩამორჩება. აი, „შალკემ" კი ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო. ეს ნიშნავს, რომ გელზენკირხენულ კლუბს მეორე წრეში ჯერ ქულა არ დაუკარგავს. ზამთრის ასეთი დასაწყისი ამათ არასოდეს ჰქონიათ. ზანქტპაულელებს ერთი პენალტი მეკარე ოლივერ რეკმაც გაუტანა, რომლისთვისაც 456 ბუნდესლიგურ მატჩში ეს პირველი გოლი გახლდათ. ერთიც იორგ ბიომემ ზუსტად ჩვენი რეზო ჩელებაძესავით დაარტყა.

„ფრაიბურგი" როსტოკში შერცხვა „ჰანზასთან", 0:4. თუმცა პირველი ორი გოლი, როგორც ჩანს, მსაჯის ნამუსზე უნდა იყოს. ჯერ იყო და, დი სალვომ თამაშგარედან გაიტანა, მერე კი, სანამ რიდლევსკი გაარტყამდა, იმავე დი სალვომ წესის დარღვევით წაართვა ბურთი იაშვილს. 64-ე წუთზე კი ცქიტიშვილმა იაშვილის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

ისე მსუყე ტური კი გამოდგა. ჯამში 28 გოლი გავიდა. ოთხ შეხვედრაში კი ერთმა მეორეს დიდი ანგარიშით მოუგო. ასეთი რამ ხშირად არ ხდება.

**სოლომონ ბულისკერიძე** → 



REUTERS მიუნხენიდან

ოტმარ ჰიცფელდს ინტერტოტოზე უშვებდნენ

### მეორე ბუნდესლიგა

#### XXII ტური

**ვალდჰოფი 1:4 ფიურტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 27 | 17 | 5 | 5 | 44:21 | 56 |
| ხერესი | 27 | 15 | 4 | 8 | 30:22 | 49 |
| უელვა | 27 | 11 | 11 | 5 | 26:19 | 44 |
| რასინგი | 27 | 11 | 10 | 6 | 32:22 | 43 |
| ოვიედო | 27 | 9 | 14 | 4 | 25:16 | 41 |
| ალბასეტე | 27 | 11 | 7 | 9 | 31:23 | 40 |
| ეიბარი | 27 | 10 | 8 | 9 | 30:19 | 38 |
| სპორტინგი | 27 | 10 | 8 | 9 | 36:32 | 38 |
| ბურგოსი | 27 | 10 | 8 | 9 | 24:24 | 38 |
| ბადახოსი | 27 | 11 | 5 | 11 | 28:30 | 38 |
| სალამანკა | 27 | 8 | 12 | 7 | 34:35 | 36 |
| ელჩე | 27 | 9 | 9 | 9 | 24:28 | 36 |
| ლეგანესი | 27 | 8 | 10 | 9 | 19:22 | 34 |
| ფეროლი | 27 | 10 | 4 | 13 | 34:38 | 34 |
| ესტრემადურა | 27 | 8 | 9 | 10 | 22:24 | 33 |
| ხაენი | 27 | 9 | 6 | 12 | 22:31 | 33 |
| კორდობა | 27 | 8 | 8 | 11 | 29:33 | 32 |
| მურსია | 27 | 7 | 10 | 10 | 22:26 | 31 |
| ნუმანსია | 27 | 7 | 9 | 11 | 26:37 | 30 |
| ხიმნასტიკი | 27 | 7 | 7 | 13 | 22:30 | 28 |
| ლევანტე | 27 | 5 | 10 | 12 | 26:41 | 25 |
| პოლი ეხიდო | 27 | 5 | 8 | 14 | 24:37 | 23 |

Cup of Nations 2002

# აფრიკის ეროვნებათა თასი 2002
## მალი. 19 იანვარი — 10 თებერვალი



კამერუნმა თასი ჩაიხუტა

# კაპიტნები ბოლოს ურტყამენ

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**მალი 0:1 ნიგერია**

0:1 აიეგბენი (29)

**ფინალი**

**კამერუნი 0:0 (პენ. 3:2) სენეგალი**

**პენალტები:** 0:0 ვომე (მეკარე), 0:1 კოლი, 1:1 სუფო, 1:2 ფადიგა, 2:2 ლორენი, 2:2 ფეიე (მეკარე), 3:2 ჯერემი, 3:2 დიუფი (აცილა), 3:2 სონგი (მეკარე), 3:2 სისე (მეკარე)

**კამერუნი:** ალიუმი, ჩატო, სონგი, კალა, ჯერემი, ვომე, ლორენი, ფოე, ოლემბე, ეტოო, ნდიეფი (სუფო 106)

**სენეგალი:** სილვა, დაფი, ა. სისე, ლ. დიატა, კოლი, დიაო, პ. დიოპი (ფეიე 91), მახტარ ნდიაიე (მუსა ნდიაიე 46), ფადიგა, ა. კამარა (ს. კამარა 106), დიუფი

მსაჯი: ჯამალ ალ ღანდური (ეგვიპტე)

50 000 მაყურებელი

„**როცა** საქმე პენალტებზე მიდგა, არ მინერვიულია, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი მეკარე, ალიუმ ბუქარი რამდენიმეს მოიგერიებდა. მე ერთი რამ მაოცებს, როგორ მოხდა, რომ მისთვის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში ადგილი არ მოიძებნა. სამი პენალტის აღებაც რომ არა, ჩემპიონატის ხუთ მატჩში ერთი გოლიც არ გაუშვია“ — თქვა ნამატჩევს აფრიკის ჩემპიონთა გერმანელმა თავკაცმა ვინი შეფერმა.

ისევე როგორც წინა ჩემპიონატის ფინალში, უგოლო ასოცი წუთის შემდეგ პენალტების სერია დაინიშნა და, შეფერის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დასაწყისი კამერუნელებს კარგს არაფერს უქადდათ.

პირველი დარტყმა კამერუნელი „მოუთვინიერებელი ლომებისა“ იყო და სენეგალელთა მეკარემ, მონაკოელმა ტონი სილვამ (სწორედ ის დაასახელეს ტურნირის საუკეთესო გოლკიპერად) პიერ ვომეს აუღო, რასაც ფერდინანდ კოლის გოლი და სენეგალელთა დაწინაურება მოჰყვა. მეორედ შეფილდელმა პატრიკ სუფომ და ოსერელმა ხალილუ ფადიგამ გაიტანეს, მერე არსენალელმა ლორანმა იხეირა, მუსტაფა ფეიეს კი ალიუმმა აუღო — სერიაში ანგარიში გათანაბრდა, 2:2. მეოთხედ სენეგალელებს რეალელმა ჯერემი ნჯიტაპმა გაუტანა, მათმა საუკეთესო თავდამსხმელმა, ლანსელმა ელ-ჰაჯი დიუფმა კი გააფუჭა — უკვე კამერუნი გაიჭრა წინ. მეხუთე დარტყმა რიგობერტ სონგისა იყო და რომ გაეტანა, თამაშიც დამთავრდებოდა, მაგრამ კამერუნელთა კაპიტანს სილვამ აუღო და სენეგალელებს კვლავ გაუჩნდათ იმედი. იმედი უცბათვე გაქრა, რაკი მათი კაპიტნის ალიუ სისეს დარტყმული ბურთი ალიუმის ლუკმა გახდა და კამერუნმა თასი აღმართა.

ამგვარად, თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ კამერუნის ნაკრები პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება შეძლო. 1965 წელს ეს განამ მოახერხა. ამასთანავე კამერუნი შეუერთდა რეკორდსმენებს, ეგვიპტესა და განას, რომელთაც კონტინენტზე ოთხჯერ გაემარჯვათ.

„იღბლიანი კაპიტანი ვარ — თქვა რიგობერტ სონგმა — უკვე ორჯერ მომეცა თასის აღმართვის საშუალება და ვიმედოვნებ, მსოფლიოს ჩემპიონატზეც მივაღწევთ წარმატებას“.

მეტოქის დალოცვილმა მწვრთნელმა, ფრანგმა ბრუნო მეტსუმ კი შემდეგი განაცხადა: „ნეტავ, შეფერის ადგილას ვიყო, ჩვენ არ ვიმსახურებდით წაგებას. ისღა დაგვრჩენია, იმედგაცრუება დავძლიოთ და მუშაობა გავაგრძელოთ“.

ელ-ჰაჯი დიუფი კი, რომლის გაფუჭებულმა პენალტმა ფინალის ბედი გადაწყვიტა, მწვრთნელს არ დაეთანხმა: „დღეს უძლიერესმა გაიმარჯვა“.

თავად თამაში კამერუნელთა გვარიანი უპირატესობით წარიმართა. მართალია, პირველ წუთებში სენეგალელებმა ერთი-ორჯერ სახიფათოდ შეუტიეს, მაგრამ მეტოქის ძალა მალევე იგრძნეს და იმის ცდაშიღა იყვნენ, თამაში როგორმე პენალტებამდე მიეყვანათ.

მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და მხოლოდ სამი მათგანი გამოვარჩიოთ: პატრიკ მბომამ ძელს გაარტყა, მერე პაუ ნდიეფი მაისურაზე მოქაჩვით შეაჩერა სისემ, რაც ტელეკამერებმაც შეამჩნიეს, მაგრამ მსაჯს გამოეპარა და პენალტი არ დანიშნა, ბოლოს კი სამუელ ეტოოს თავური არ ჩათვალა, დარტყმამდე ნდიეფი ტონი სილვას ეუხეშაო.

იმავე დღეს გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელშიც ნიგერიამ მასპინძელი მალი დაამარცხა, თუმცა ამ თამაშზე ლაპარაკი არც ღირს.

ახლა კი ხუთი აფრიკული ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აგრძელებს მზადებას — კამერუნი, სენეგალი, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა და ტუნისი — დანარჩენები კი კონტინენტის პირველობის მომდევნო შესარჩევ ციკლს დაელოდებიან.

**გიორგი დარჯანია**



ნერვიულ პენალტების სერიას მალე გამარჯვების ყიჟინა შეცვლის

REUTERS ბამბუკი

## პორტუგალია

**I ლიგა. XXVII ტური**

**ფარენსე 1:1 ფეირეირა**

0:1 რობერტუ (25), 1:1 დიურდიევიჩი (36)

**პორტუ 3:2 ბენფიკა**

0:1 სიმაო (17), 1:1 დეკო სოუზა (42), 2:1 ალენიჩევი (49), 3:1 ნუნუ კაპუშუ (54), 3:2 მანტორაში (56)

**ჟილ ვისენტე 1:1 სპორტინგი**

0:1 ბეტუ სევერუ (29), 1:1 პაულუ ალვეში (58)

**ბელენენსეში 3:2 ვარზიმი**

1:0 ბეზერა (4), 2:0 პეიშოტო (31პ), 2:1 ბერტუ (55პ), 2:2 პინჰეუ (62), 3:2 სემედუ (85)

**ალვერკა 0:2 მარიტიმუ**

0:1 დ. კრუდე (54), 0:2 რ. სანტუში (82)

**ბეირა მარი 1:0 სეტუბალი**

1:0 რუი დოლორეში (67)

**ბრაგა 0:0 სალგეიროში**

**ლეირია 0:1 ბოავიშტა**

0:1 მარტელინიუ (90)

**გიმარაეში 1:0 სანტა კლარა**

1:0 სუარეში (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 22 | 15 | 3 | 4 | 38:13 | 48 |
| სპორტინგი | 22 | 14 | 5 | 3 | 50:18 | 47 |
| პორტუ | 22 | 13 | 3 | 6 | 37:21 | 42 |
| ბენფიკა | 22 | 10 | 9 | 3 | 40:26 | 39 |
| ლეირია | 22 | 10 | 7 | 5 | 37:23 | 37 |
| გიმარაეში | 22 | 10 | 5 | 7 | 27:21 | 35 |
| ბელენენსეში | 22 | 10 | 4 | 8 | 31:32 | 34 |
| მარიტიმუ | 22 | 10 | 2 | 10 | 28:25 | 32 |
| სანტა კლარა | 22 | 8 | 6 | 8 | 22:26 | 30 |
| ბრაგა | 22 | 7 | 8 | 7 | 27:20 | 29 |
| ფერეირა | 22 | 7 | 8 | 7 | 28:32 | 29 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 7 | 4 | 11 | 25:37 | 25 |
| ბეირა მარი | 22 | 6 | 6 | 10 | 34:38 | 24 |
| სალგეიროში | 22 | 6 | 4 | 12 | 19:44 | 22 |
| სეტუბალი | 22 | 5 | 6 | 11 | 23:26 | 21 |
| ფარენსე | 22 | 5 | 5 | 12 | 18:35 | 20 |
| ალვერკა | 22 | 5 | 4 | 13 | 25:44 | 19 |
| ვარზიმი | 22 | 3 | 5 | 14 | 17:45 | 14 |

**II ლიგა**

22-ე ტური: ოვარენსე — ფელგეირაში 1:3; ოლივეირენსე — მორეირენსე 1:3; რიუ ავე — ესპინიუ 0:0; ლამაში — ამადორა 1:0; პორტიმონენსე — ნასიონალი 2:0; მაია — ავეში 1:3; კამპომაიორენსე — აკადემიკა 2:2; ლეშა — ჩავეში 2:0; პენაფიელი — ნავალი 0:0

## ჰოლანდია

**I დივიზიონი. XXII ტური**

**გრონინგენი 0:1 ფეიენოორდი**

0:1 ტომასონი (45)

**აიაქსი 3:1 ვალვაიკი**

1:0, 2:0 მახლასი (45, 75), 2:1 გოვედარიცა (80), 3:1 ბერგდოლმო (85პ)

**უტრეხტი 1:4 ნაიმეგენი**

0:1 აქსი (1), 0:2 დ. მესპა (3), 0:3 აქსი (5), 1:3 როია (61), 1:4 ლემოგი (65)

**ვიტესი 1:1 სიტარდი**

0:1 პეტრონგი (30), 1:1 მარტელი (41)

**სპარტა 1:3 გრააფსხაპი**

1:0 სანუ (21), 1:1, 1:2 ვან დოლენი (54, 72), 1:3 ა. სმიტი (75)

**ალკმაარი 0:2 ჰერენვენი**

0:1 ოლბოკი (16), 0:2 სელაკოვიჩი (46)

**ტვენტე 4:0 დენ ბოსხი**

1:0 ვან დერ ლეიხტი (4), 2:0 ვან დერ დელენი (57), 3:0 ვან დერ ლეიხტი (71), 4:0 პოტუიზენი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 21 | 14 | 3 | 4 | 47:16 | 45 |
| აიაქსი | 21 | 14 | 3 | 4 | 49:25 | 45 |
| პსვ | 22 | 12 | 4 | 6 | 45:26 | 40 |
| ჰერენვენი | 22 | 11 | 6 | 5 | 38:16 | 39 |
| ბრედა | 22 | 10 | 5 | 7 | 38:36 | 35 |
| ვიტესი | 22 | 9 | 8 | 5 | 24:23 | 35 |
| უტრეხტი | 23 | 9 | 7 | 7 | 43:34 | 34 |
| ვალვაიკი | 23 | 9 | 4 | 10 | 30:27 | 31 |
| ნაიმეგენი | 22 | 8 | 5 | 9 | 21:34 | 29 |
| ტილბურგი | 22 | 6 | 10 | 6 | 35:36 | 28 |
| ტვენტე | 22 | 5 | 10 | 7 | 28:29 | 25 |
| დენ ბოსხი | 21 | 6 | 7 | 8 | 29:32 | 25 |
| გრააფსხაპი | 21 | 7 | 4 | 10 | 30:34 | 25 |
| ალკმაარი | 21 | 7 | 4 | 10 | 22:27 | 25 |
| როდა | 22 | 7 | 4 | 11 | 21:33 | 25 |
| გრონინგენი | 23 | 6 | 4 | 13 | 26:46 | 22 |
| სპარტა | 22 | 4 | 9 | 9 | 23:44 | 21 |
| სიტარდი | 22 | 2 | 5 | 15 | 20:51 | 11 |

**II დივიზიონი**

22-ე ტური: ოსი — იგლსი 1:0; როზენდალი — ჰაარლემი 2:0; ზვოლე — ვენლო 0:2; ჰელმონდი — დენ ჰააგი 2:0; ეინდჰოვენი — ჰერაკლესი 0:2; ექსელსიორი — ვოლენდამი 2:2; ვეენდამი — კამბური 1:1; ემენი — დორდრეხტი 2:2

## ბელგია

**I დივიზიონი. XXII ტური**

**ანდერლეხტი 7:1 ლიერსი**

1:0, 2:0 დე ბილდე (2, 32), 2:1 სელსი (51), 3:1 დინდანე (61), 4:1 დე ბილდე (63), 5:1, 6:1 სტოიკა (74, 78), 7:1 დინდანე (81)

ლიერსი: მარდულიე, კაციჩი, უილსი, ლაურენსი (იანსენსი 64), დე როეკი, შიშილაძე, გადიაგა, ლეენი, სელსი, ტომპსონი (ფრიგარდი 64), ჰოუსგემსი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

მსაჯი: ბლარო

23 343 მაყურებელი

**მუსკრონი 2:0 სტანდარდი**

1:0 ვიდოვიჩი (23), 2:0 მიტროვიჩი (62)

**სენტ ტრუიდენი 1:2 მოლენბეკი**

0:1 ორიგო (30), 1:1 ბოგენი (60), 1:2 კოლოტილკო (86პ)

**ვესტერლო 3:3 შარლერუა**

0:1 პიტალოვეჩი (4), 1:1, 2:1 ტომპსონი (34, 55), 2:2 იაზდანი (59), 3:2 სმიტსი (65), 3:3 როხასი (87პ)

**ბევერენი 2:2 გენტი**

0:1 კაკლამანოსი (56), 1:1 ზუზეტო (62), 2:1 დანილევიჩიუსი (75), 2:2 კაკლამანოსი (90)

**ანტვერპენი 2:0 აალსტი**

1:0, 2:0 გოორტსი (68, 73)

**ლუვიე 1:2 ბრიუგე**

0:1 ლანგე (30), 0:2 სიმონსი (65), 1:2 ჯიმი (70)

**ლოკერენი 1:0 ლომელი**

1:0 გრეტარსონი (90პ)

**გენკი 4:4 ბეერსხოტი**

0:1 მუტავეჯიჩი (7), 0:2 კპაკა (9), 1:2 სონკი (20), 2:2 დაგანო (22), 3:2 ტიისი (35), 4:2 სონკი (49), 4:3 სნელდერსი (52), 4:4 კპაკა (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 22 | 16 | 1 | 5 | 54:26 | 49 |
| ანდერლეხტი | 21 | 13 | 6 | 2 | 51:23 | 45 |
| გენკი | 21 | 12 | 8 | 1 | 60:29 | 44 |
| ლოკერენი | 22 | 12 | 6 | 4 | 34:21 | 42 |
| გენტი | 22 | 12 | 6 | 4 | 38:28 | 42 |
| სტანდარდი | 21 | 12 | 4 | 5 | 40:25 | 40 |
| მუსკრონი | 22 | 11 | 2 | 9 | 46:29 | 35 |
| სენტ ტრუიდენი | 22 | 9 | 4 | 9 | 33:32 | 31 |
| ბეერსხოტი | 21 | 7 | 8 | 6 | 42:32 | 29 |
| ვესტერლო | 22 | 7 | 4 | 11 | 36:43 | 25 |
| შარლერუა | 22 | 7 | 4 | 11 | 22:43 | 25 |
| ლომელი | 22 | 6 | 6 | 10 | 32:39 | 24 |
| მოლენბეკი | 22 | 7 | 3 | 12 | 30:40 | 24 |
| ლიერსი | 22 | 5 | 6 | 11 | 34:43 | 21 |
| ანტვერპენი | 22 | 5 | 5 | 12 | 29:41 | 20 |
| ლუვიე | 22 | 4 | 7 | 11 | 25:44 | 19 |
| აალსტი | 22 | 4 | 3 | 15 | 18:51 | 15 |
| ბევერენი | 22 | 2 | 7 | 13 | 23:58 | 13 |

**II დივიზიონი**

24-ე ტური: დესელი — ვიზე 3:0; ინგელმუნსტერი — მეხელენი 2:1; ვირტონი — ტიუბიზი 2:2; დაინზე — გეელი 1:1; ლიეჟი — ფლაანდერენი 1:0; დენდერლეუვი — მანტრი 0:1; სერენი — რუზელარე 0:0; რონსი — მონსი 1:1; სტრომბეკი — ჰეუსდენი 0:3

## ჩეხეთი

მე-17 ტური: ტეპლიცე — ჟიჟკოვი 1:3; ბლშანი — ლიბერეცი 1:2; სინოტი — ოპავა 1:0; ბოჰემიანსი — პრჟიბრამი 2:0; ბრნო — სიგმა 2:1; ბანიკი — დრნოვიცე 1:0; სლავია — იაბლონეცი 2:2; სპარტა — ჰრადეც კრალოვე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 17 | 14 | 0 | 3 | 39:9 | 42 |
| ჟიჟკოვი | 17 | 13 | 1 | 3 | 29:12 | 40 |
| ბოჰემიანსი | 17 | 12 | 3 | 2 | 29:11 | 39 |
| ლიბერეცი | 17 | 10 | 5 | 2 | 33:16 | 35 |
| ბანიკი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:18 | 28 |
| სლავია | 17 | 7 | 4 | 6 | 29:25 | 25 |
| ბრნო | 17 | 7 | 4 | 6 | 20:28 | 25 |
| იაბლონეცი | 17 | 5 | 7 | 5 | 16:17 | 22 |
| ჰრადეც კრალოვე | 17 | 6 | 2 | 9 | 19:31 | 20 |
| სინოტი | 17 | 5 | 4 | 8 | 15:23 | 19 |
| ტეპლიცე | 17 | 5 | 3 | 9 | 18:25 | 18 |
| სიგმა | 17 | 4 | 6 | 7 | 14:22 | 18 |
| დრნოვიცე | 17 | 4 | 4 | 9 | 20:22 | 16 |
| პრჟიბრამი | 17 | 4 | 3 | 10 | 15:26 | 15 |
| ბლშანი | 17 | 4 | 1 | 12 | 20:34 | 13 |
| ოპავა | 17 | 2 | 1 | 14 | 12:33 | 7 |

## საბერძნეთი

მე-16 ტური: პანიონიოსი — ოლიმპიაკოსი 3:1; ოფი — პანათინაიკოსი 0:1; პაოკ — ირაკლისი 3:0; იონიკოსი — არისი 1:0; პანაჰაიკი — ქსანთი 1:3; ეგალეო — აეკ 1:3. აკრატიტოსი — ეთნიკოსი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 15 | 11 | 0 | 4 | 38:17 | 33 |
| პაოკ | 15 | 9 | 4 | 2 | 31:21 | 31 |
| პანათინაიკოსი | 15 | 9 | 3 | 3 | 31:15 | 30 |
| ოლიმპიაკოსი | 15 | 8 | 5 | 2 | 35:19 | 29 |
| ქსანთი | 15 | 8 | 4 | 3 | 25:14 | 28 |
| ოფი | 15 | 6 | 3 | 6 | 18:17 | 21 |
| ირაკლისი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:20 | 21 |
| არისი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 20 |
| პანიონიოსი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:25 | 19 |
| იონიკოსი | 15 | 3 | 5 | 7 | 12:26 | 14 |
| ეთნიკოსი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:20 | 12 |
| ეგალეო | 15 | 3 | 3 | 9 | 17:31 | 12 |
| აკრატიტოსი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:22 | 9 |
| პანაჰაიკი | 15 | 1 | 4 | 10 | 15:37 | 7 |

## ამხანაგური მატჩი

**პოლონეთი 2:1 ფარერები**

1:0 ჟურავსკი (11), 1:1 იაკობსენი (26), 2:1 ჟურავსკი (42პ)

## მეფის თასი. I ტური

**ტაილანდი 4:0 სინგაპური**

**ჩრდ. კორეა 1:1 ყატარი**

## როტმანსის თასი

**I ტური**

**მალტა 2:1 იორდანია**

**ლიტვა 1:0 მოლდოვა**

# ამხანაგური მატჩები

## ჰოლანდია — ინგლისი

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), ოსკარ მოენსი (ალკმაარი)
*მცველები:* ფრანკ დე ბური (ბარსელონა, ესპანეთი), მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარიო მელხიოტი (ჩელსი, ინგლისი), ფერნანდო რიკსენი (რეინჯერსი, შოტლანდია)
*ნახევარმცველები:* ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა, ინგლისი), მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), პატრიკ პაუვე (ფეიენოორდი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (არსენალი, ინგლისი), რონალდ დე ბური (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), მარკ ოვერმარსი (ბარსელონა, ესპანეთი)
*თავდამსხმელები:* ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი, ინგლისი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), ვიქტორ სიკორა (ვიტესი)

*მეკარეები:* ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი), რიჩარდ რაიტი (არსენალი)
*მცველები:* რიო ფერდინანდი (ლიდსი), სოლ კემპბელი (არსენალი), გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), ფილ ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), უეინ ბრიჯი (საუთჰემპტონი), ლედლი კინგი (ტოტენჰემი), კრის პაუელი (ჩარლტონი)
*ნახევარმცველები:* დევიდ ბექემი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ნიკი ბათი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯო კოული (ვესტ ჰემი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი)
*თავდამსხმელები:* ემილ ჰესკი (ლივერპული), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა), მაიკლ რიკეტსი (ბოლტონი), კევინ ფილიპსი (სანდერლენდი)

ჰოლანდიელებთან მატჩში ხვენ გორან ერიკსონი ექსპერიმენტული შემადგენლობის გაყვანას აპირებს. სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან ასტონვილელი დარიუს ვასელი და ბოლტონელი მაიკლ რიკეტსი. ნაკრებში ასევე მიიწვიეს უეინ ბრიჯი, ლედლი კინგი და ჯო კოული, რომელთაც აქამდე ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშიათ. ისე ჩანს, რომ ახლანდელი მიწვევა ბოლო შანსი იქნება სანდერლენდელ ბომბარდირ კევინ ფილიპსისთვის, ივარგებს — მუნდიალზე მოხვდება, თუ არა და ერიკსონი მეტი ექსპერიმენტების ჩატარებას აღარ აპირებს.

სამაგიეროდ, ნაკრებში არ არიან ტედი შერინგემი, ენდი კოული და რობი ფაულერი, თუმცა ცხადია, ეს მათ დაწუნებას სულაც არ ნიშნავს — აკი ექსპერიმენტი ვახსენეთ.



ინგლისელთა კაპიტანი დევიდ ბექემი ჰოლანდიის ახალი ფორმით და თანაგუნდელებით შეებრძოლება

## საფრანგეთი — რუმინეთი

*მეკარეები:* ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ულრიხ რამე (ბორდო), გრეგორი კუპე (ლიონი)
*მცველები:* ვენსან კანდელა (რომა, იტალია), მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), ფილიპ კრისტენვალი (ბარსელონა, ესპანეთი), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია)
*ნახევარმცველები:* ალენ ბოგოსიანი (პარმა, იტალია), ერიკ კარიერი (ლიონი), კლოდ მაკელელე (რეალი, ესპანეთი), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), რობერ პირესი (არსენალი, ინგლისი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი)
*თავდამსხმელები:* ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), სილვენ ვილტორდი (არსენალი, ინგლისი), კრისტოფ დიუგარი (ბორდო)

*მეკარეები:* ბოგდან სტელია (რაპიდი), ბოგდან ლობონტი (დინამო)
*მცველები:* მირელ რადოი (სტიაუა), ფლავიუს სტოიკანი (უნივერსიტატია, კრაიოვა), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), გეორგე პოპესკუ (ლეჩე, იტალია), დანიელ პროდანი (მესინა, იტალია), ადრიან იენჩში (რაპიდი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია)
*ნახევარმცველები:* ტიბერიუ გიოანე (დინამო, უკრაინა), ფლორინ სოავა (რაპიდი), პოლ კოდრია (ჯენოა, იტალია), რაზვან რატი (რაპიდი), ლაურენტიუ როსუ (ნუმანსია, ესპანეთი), დორინელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი, გერმანია)
*თავდამსხმელები:* ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), იონელ განია (შტუტგარტი, გერმანია), ვიორელ მოლდოვანი (ნანტი, საფრანგეთი), ადრიან მუტუ (ვერონა, იტალია), დანიელ პანჩუ (რაპიდი)



რუმინელებმაც რომ თქვან, ზინედინ ზიდანი როგორი ფრანგია, ალჟირელიაო, მერე?

ეს ამხანაგური მატჩი ჯერ არ გამართულა და უკვე სკანდალის მიზეზად იქცა. ერთ ფრანგულ გაზეთში გაჩნდა კარიკატურა — ზინედინ ზიდანი მართლმადიდებლური ეკლესიის წინ დგას, ეკლესიაში კი ბოშა ვიოლინოზე უკრავს. ქვემოთ კი წარწერაა: „ორი კულტურის ომი — ეპიზოდი VI".

ამაზე რუმინელები აღშფოთდნენ და იქაური გაზეთები საპასუხო სტატიებმა წალეკეს. „ადევარული" წერს: „ჩვენი ფრანგი „ძმები" შეურაცხყოფის შანსს ხელიდან არ უშვებენ. მათ სიამოვნებთ ჩვენი ბოშებად მოხსენიება".

მიუხედავად ამისა, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციაში კარიკატურას მშვიდად შეხვდნენ. პრეზიდენტი მირჩა სანდუმ კი ნახატს ასეთი ახსნა მოუძებნა: „მათ, უბრალოდ, ჩვენი ვირტუოზობის აღნიშვნა სურდათ".

### დღეს

ჰონკონგი — ჩინეთი
თურქეთი — ეკვადორი
სლოვენია — ჰონდურასი
ჩეხეთი — უნგრეთი
კვიპროსი — შვეიცარია

### ხვალ

ჰოლანდია — ინგლისი
ლიხტენშტაინი — ფარერები
გერმანია — ისრაელი
ურუგვაი — სამხრეთ კორეა
პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია
ბელგია — ნორვეგია
ესპანეთი — პორტუგალია
საფრანგეთი — რუმინეთი
ლუქსემბურგი — ალბანეთი
ხორვატია — ბულგარეთი
არგენტინა — უელსი
საუდის არაბეთი — დანია
ირლანდია — რუსეთი
საბერძნეთი — შვედეთი
იტალია — აშშ
მექსიკა — იუგოსლავია

## უელსი — არგენტინა

არგენტინელთა საუელსო შემადგენლობაზე უპირველესად კი კლაუდიო კანიჯას მიწვევაზე წინა კვირაშიც ვწერდით, ახლა კი მასპინძელ უელსელთა წინასამატჩო განწყობაზე ვთქვათ.

„როცა ჩვენმა ფეხბურთის ასოციაციამ არგენტინასთან მატჩის თაობაზე განაცხადა, სასიამოვნოდ გავოცდი, ეს მართლაც დიდი მატჩი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგურია — თქვა უელსელთა ლიდერმა რაიან გიგზმა — პირადად მე უკეთეს მეტოქეს ვერც წარმოვიდგენ.

ბევრი თვლის, რომ უელსის ნაკრები მეტისმეტად სუსტია არგენტინასთან ღირსეულად სათამაშოდ. ამ მოსაზრებას ერთი წამითაც ვერ დავეთანხმები. ძლიერები რომ არ ვართ, ცხადია, საკამათო არ არის, მაგრამ სამომავლოდ წარმატებების მისაღწევად თავდაჯერება გვჭირდება, რასაც არგენტინის დარ გუნდებთან თამაშით უნდა მივაღწიოთ. თან შეხვედრა ამხანაგურია და პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთისგან განთავისუფლებულები უფრო ლაღად ვითამაშებთ".

*მეკარეები:* პოლ ჯოუნსი (საუთჰემპტონი, ინგლისი), დარენ უორდი (ნოტინგემი, ინგლისი), მარკ კროსლი (მიდლსბრო, ინგლისი), დანი კოინი (გრიმსბი, ინგლისი)
*მცველები:* მარკ დილანი (ასტონ ვილა, ინგლისი), კიტ საიმონსი (კრისტალ პალასი, ინგლისი), რობერტ პეიჯი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი), ენდრიუ მელვილი (ფულემი, ინგლისი), დარენ ბერნარდი (ბარნსლი, ინგლისი)
*ნახევარმცველები:* ჯეისონ კუმასი (ტრანმერი, ინგლისი), მარკ პემბრიჯი (ევერტონი, ინგლისი), საიმონ დევისი (ტოტენჰემი, ინგლისი), ჯონ რობინსონი (ჩარლტონი, ინგლისი), ენდი ჯონსონი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), კარლ რობინსონი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), რობი სევიჯი (ლესტერი, ინგლისი), გარი სპიდი (ნიუკასლი, ინგლისი)
*თავდამსხმელები:* რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ჯონ ჰართსონი (სელტიკი, შოტლანდია), ნათან ბლეიქი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), კრეიგ ბელამი (ნიუკასლი, ინგლისი), ივან რობერტსი (ნორვიჩი, ინგლისი)

*მეკარეები:* სებასტიან სახა (სან ლორენსო), რობერტო ბონანო (ბარსელონა, ესპანეთი)
*მცველები:* დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია), ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), ხოსე ანტონიო შამოტი (მილანი, იტალია), ფედერიკო დომინგესი (ველეს სარსფილდი)
*ნახევარმცველები:* ხუან პაბლო სორინი (კრუზეირო, ბრაზილია), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაბლო აიმარი (ვალენსია, ესპანეთი), სანტიაგო სოლარი (რეალი, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა, იტალია), კილი გონსალესი (ვალენსია, ესპანეთი), ფაკუნდო კიროგა (ნაპოლი, იტალია), კლაუდიო ხუსაინი (რივერ პლეიტი), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი), ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი)
*თავდამსხმელები:* ხულიო კრუზი (ბოლონია, იტალია), ლუჩანო გალეტი (სარაგოსა, ესპანეთი), კლაუდიო კანიჯა (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ხავიერ სავიოლა (ბარსელონა, ესპანეთი)

## ესპანეთი — პორტუგალია

*მეკარეები:* სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), იკერ კასილიასი (რეალი)
*მცველები:* ოსკარ ტელიესი (ალავესი), კარლეს პუიოლი (ბარსელონა), სერხი ბარხუანი (ბარსელონა), გუსტავო ხუანფრანი (სელტა), მიჩელ სალგადო (რეალი), ხავიერ კურო ტორესი (ვალენსია), მიგელ ანხელ ნადალი (მალიორკა)
*ნახევარმცველები:* ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია), ივან ელგერა (რეალი), პედრო მუნიტისი (რეალი), ხავი ერნანდესი (ბარსელონა), რუბენ ბარახა (ვალენსია), ვისენტე როდრიგესი (ვალენსია), ხოაკინი (ბეტისი)
*თავდამსხმელები:* დიეგო ტრისტანი (დეპორტივო), ფერნანდო მორიენტესი (რეალი), რაულ ტამუდო (ესპანიოლი)

*მეკარეები:* რიკარდუ პერეირა (ბოავიშტა), კიმ სილვა (ბრაგა)
*მცველები:* ფერნანდუ კოუტუ (ლაციო, იტალია), ნუნუ ფრეშაუ (ბოავიშტა), ჟორჟე კოშტა (ჩარლტონი, ინგლისი), ჟორჟე ანდრადე (პორტუ), რუი ჟორჟე (სპორტინგი), დიმაშ ტეიშეირა (მარსელი, საფრანგეთი), ბეტუ სევერუ (სპორტინგი)
*ნახევარმცველები:* ლუიშ ფიგუ (რეალი, ესპანეთი), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი, იტალია), ნუნუ კაპუშუ (პორტუ), ჟოზე ვიდიგალი (ნაპოლი, იტალია), პაულუ ბენტუ (სპორტინგი), პედრო ბარბოსა (სპორტინგი), უგო ვიანა (სპორტინგი)
*თავდამსხმელები:* ნუნუ გომეში (ფიორენტინა, იტალია), პედრო პაულეტა (ბორდო, საფრანგეთი), სიმაო საბროსა (ბენფიკა), ჟოაუ პინტუ (სპორტინგი)

ხვალ ბარსელონაში სტვენა ატყდება. საზოგადოდ, ამხანაგური მატჩებისას გულშემატკივრები არ უსტვენენ, მაგრამ აქ სხვა მიზეზია — ბარსელონაში ლუიშ ფიგუ ჩადის...

თუმცა ფიგუ ამბობს, კატალონიაში ჩასვლისა არ მეშინიაო და ნუ ჩავეძიებით. ქვემოთ კი ესპანელთა მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუს გავეცნოთ.

**— ნაკრებში ექსპერიმენტებს ხომ არ ჩაატარებთ?**

— ვაპირებ, კარლეს პუიოლი ვათამაშო დაცვის ცენტრში, თუმც ეს არც არის ექსპერიმენტი. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ მისი შესაძლებლობები ამ პოზიციაზე უფრო გამოგვადგება.

**— რაულს, იერო და გვარდიოლა არ მიიწვიეთ...**

— ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ამხანაგური თამაშია და გამარჯვება ჩვენი უმთავრესი მიზანი არ არის. თუმცა, ცხადია, ამ ოდნავ სახეშეცვლილი შემადგენლობისგან უმაღლეს დონეზე თამაშს ველი.

**— თქვენ მეგობრული ურთიერთობა გაქვთ ზოგიერთ იმ ფეხბურთელთან, რომლებიც ახლა დაშავებულები არიან. მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ მაინც წაიყვანთ?**

— მსოფლიოს ჩემპიონატი სამეგობრო ადგილი არ არის, ესპანეთში კი უამრავი ბრწყინვალე ფეხბურთელია.

**— „ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტმა ანტონ პარერამ თქვა, კამაჩო ჩვენთან მოდისო...**

— პარერას სიტყვები საერთოდ ნაკლებად სანდოა. ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია.



ბარსელონაში პირველად დაბრუნებისას ლუიშ ფიგუ გვარიანად დაბნეული ჩანდა

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIII ტური** | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 010 | ფიურტი-შვაინფურტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 011 | ფიურტი-შვაინფურტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 012 | უნტერჰახინგი-ბაბელსბერგი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.00 | 013 | უნიონი-ვალდჰოფი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 021 | როტერჰემი-ბარნსლი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 029 | ბრენტფორდი-კარდიფი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 030 | ჩესტერფილდი-უიკომბი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **13 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 031 | კემბრიჯი-პორტ ვეილი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXIV ტური** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 032 | ტრანმერი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **14 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 033 | სუინდონი-რედინგი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.30 | 044 | დარლინგტონი-ჩელტენჰემი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.45 | 045 | სკანთორპი-მაკლსფილდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 046 | როჩდეილი-ჰარტლპული | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 23.45 | 047 | ჰალიფაქსი-იორკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 048 | ლინკოლნი-მენსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.45 | 049 | სუონსი-კიდერმინსტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXIV ტური** | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 050 | სუონსი-საუთენდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXVIII ტური** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.00 | 071 | ისტრი-აიაჩო | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 072 | მარტიგი-შატორუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 073 | ნიცა-კრეტეი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 074 | გენიონი-გრენობლი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 075 | ლავალი-ლე მანი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 076 | ნიორი-ნანსი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 077 | სტრასბური-სტ. ეტიენი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 078 | ამიენი-ვასკეალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 079 | ნიმი-ბოვე | 3,3 | 2,6 | 2,3 |
| 23.15 | 080 | ლე ავრი-კაენი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| | | **იტალია. სერია „ბ". XXIV ტური** | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 103 | ტერნანა-ვიჩენცა | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIII ტური** | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | |
| 23.00 | 174 | დენ ბოსხი-სპარტა | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.00 | 181 | ვეენდამი-დორდრეხტი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXIII ტური** | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | |
| 23.00 | 182 | დორდრეხტი-ოსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 183 | დორდრეხტი-ოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 184 | კამბური-ემენი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 185 | დენ ჰააგი-როზენდალი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 23.00 | 186 | ჰაარლემი-ვეენდამი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 187 | მაასტრიხტი-ჰელმონდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 188 | ვენლო-ექსელსიორი | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 23.00 | 189 | ჰერაკლესი-ტელსტარი | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| | | **თურქეთი. XXII ტური** | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 230 | გაზიანთეპი-დიარბაქირი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი.** | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 239 | დანდი-დანფერმლაინი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.30 | 247 | ეირდრი-ფოლკირკი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 23.30 | 248 | როსი-ინვერნესი | 2,1 | 3,3 | 2,8 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.30 | 254 | ალოა-სტენჰაუსმუირი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩი.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.30 | 260 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 11.45 | 406 | სლოვენია-ჰონდურასი (ნეიტრ.) | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 407 | კვიპროსი-შვეიცარია | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 408 | ჩეხეთი-უნგრეთი (ნეიტრ.) | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 409 | თურქეთი-ეკვადორი (ნეიტრ.) | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **13 თებერვალი** | | | |
| 21.00 | 410 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 21.00 | 411 | საბერძნეთი-შვედეთი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.30 | 412 | საუდეთი-დანია | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 413 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 22.45 | 414 | პოლონეთი-ჩრდ. ირლანდია (ნეიტრ.) | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.15 | 415 | ბელგია-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.30 | 416 | ჰოლანდია-ინგლისი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 23.30 | 417 | გერმანია-ისრაელი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.30 | 418 | ირლანდია-რუსეთი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.30 | 419 | უელსი-არგენტინა | 6,5 | 3,6 | 1,45 |
| 23.45 | 420 | საფრანგეთი-რუმინეთი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 421 | იტალია-აშშ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 00.45 | 422 | ესპანეთი-პორტუგალია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 01.00 | 423 | პარაგვაი-ბოლივია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 04.30 | 424 | ურუგვაი-კორეა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 07.00 | 425 | მექსიკა-იუგოსლავია (ნეიტრ.) | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **კალათბურთი.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 501 | ინდიანა-იუტა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.00 | 502 | კლივლენდი-ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 04.30 | 503 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 504 | დეტროიტი-ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.00 | 505 | ორლანდო-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 506 | ჰიუსტონი-მემფისი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 507 | ჩიკაგო-მილუოკი | 2,8 | 12,0 | 1,25 |
| 06.00 | 508 | დენვერი-ბოსტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.00 | 509 | სიეტლი-დალასი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 510 | საკრამენტო-სან ანტონიო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.30 | 511 | ლეიკერსი-ვაშინგტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | | **13 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 512 | შარლოტი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 513 | მაიამი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 514 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,75 | 12,0 | 1,65 |
| 05.00 | 515 | მილუოკი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 516 | მინესოტა-ფინიქსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 517 | პორტლენდი-დალასი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 518 | გოლდენ სტეიტი-ბოსტონი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | | **14 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 519 | ფილადელფია-იუტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 520 | ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 521 | მემფისი-დენვერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 06.00 | 522 | საკრამენტო-ვაშინგტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.00 | 523 | სიეტლი-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 07.30 | 524 | კლიპერსი-სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. XIV ტური** | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | |
| 18.30 | 556 | ურალი-ტაუ | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 22.30 | 557 | შარლერუა-ალბა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 23.30 | 558 | უნიკახა-შლონსკი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 559 | ბუდუჩნოსტი-ზადარი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | | **14 თებერვალი** | | | |
| 21.30 | 560 | ცსკა-სკიპერი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 22.00 | 561 | ჟალგირისი-ლონდონი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 562 | ბენეტონი-ოლიმპიაკოსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 563 | მაკაბი-ეფესი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 23.30 | 564 | კინდერი-კაილაინერსი | 1,2 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 565 | ოლიმპია-ბარსელონა | 1,15 | 12,0 | 3,0 |
| 23.30 | 566 | ულქერი-პერისტერი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 567 | პო ორტეზი-კრკა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 568 | პანათინაიკოსი-რეალი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 569 | პარტიზანი-ვილერბანი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 570 | ციბონა-აეკ | 3,0 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 571 | ოსტენდე-სკავოლინი | 5,0 | 12,0 | 1,05 |
| | | **ჰოკეი.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 572 | ბუფალო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 3,4 | 2,2 |
| 04.00 | 573 | ოტავა-პიტსბურგი | 1,6 | 3,5 | 3,0 |
| 04.00 | 574 | ფილადელფია-აილენდერსი | 1,8 | 3,6 | 2,3 |
| 04.00 | 575 | კოლუმბუსი-მინესოტა | 2,0 | 3,6 | 2,1 |
| 05.00 | 576 | სტ. ლუისი-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 05.00 | 577 | ნეშვილი-ფლორიდა | 1,55 | 3,4 | 3,2 |
| 06.00 | 578 | ფინიქსი-კალგარი | 1,65 | 3,5 | 2,8 |
| 07.00 | 579 | ედმონტონი-სან ხოსე | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 07.00 | 580 | ვანკუვერი-ბოსტონი | 2,0 | 3,6 | 2,1 |
| | | **13 თებერვალი** | | | |
| 05.00 | 581 | მინესოტა-დეტროიტი | 2,5 | 3,4 | 1,75 |
| 05.00 | 582 | კოლორადო-სტ. ლუისი | 1,7 | 3,6 | 2,5 |
| 05.30 | 583 | ჩიკაგო-ფლორიდა | 1,35 | 3,6 | 4,0 |
| 05.30 | 584 | დალასი-რეინჯერსი | 2,0 | 3,4 | 2,2 |
| 07.30 | 585 | ანაჰაიმი-კალგარი | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 07.30 | 586 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| | | **ჰოკეი. ოლიმპიადა. პირველი ეტაპი.** | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 03.00 | 587 | სლოვაკეთი-ავსტრია | 1,5 | 3,6 | 3,2 |
| 06.00 | 588 | გერმანია-ლატვია | 2,3 | 3,6 | 1,8 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ლიბერტადორესის თასი.** | | | |
| | | **13 თებერვალი** | | | |
| 01.30 | 401 | ორიენტე პეტროლერო (ბოლივია)-სიენსიანო (პერუ) | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 03.40 | 402 | სან კაეტანო (ბრაზილია)-ალიანსა (პერუ) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 03.40 | 403 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-სანტიაგო უონდერერსი (ჩილე) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | **14 თებერვალი** | | | |
| 02.00 | 404 | ფლამენგო (ბრაზილია)-უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 04.10 | 405 | რივერ პლეიტი (არგენტინა)-ტალიერესი (არგენტინა) | 1,35 | 4,0 | 7,5 |

## ჩემპიონობა

| 903 გერმანია | | 904 ინგლისი | | 905 საფრანგეთი | | 906 იტალია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1,8 | მანჩესტერი | 1,5 | ლანსი | 1,5 | ინტერი | 2,2 |
| დორტმუნდი | 2,2 | ლივერპული | 2,5 | ლიონი | 2,6 | რომა | 2,2 |
| ლევერკუზენი | 2,5 | არსენალი | 3,0 | პსჟ | 3,0 | იუვენტუსი | 2,2 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 | ნიუკასლი | 4,0 | ოსერი | 5,0 | მილანი | 6,0 |
| ვერდერი | 20,0 | ლიდსი | 7,0 | ბორდო | 8,0 | კიევო | 15,0 |
| შალკე | 20,0 | ჩელსი | 10,0 | ლილი | 10,0 | ლაციო | 20,0 |
| ჰერტა | 30,0 | | | მარსელი | 50,0 | | |

| 907 ესპანეთი | | 908 პორტუგალია | | 909 ჰოლანდია | | 910 ბელგია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1,4 | სპორტინგი | 1,8 | აიაქსი | 2,0 | ბრიუგე | 1,7 |
| ბარსელონა | 3,0 | ბოავიშტა | 2,2 | ფეიენოორდი | 2,0 | ანდერლეხტი | 2,0 |
| დეპორტივო | 3,0 | პორტუ | 3,0 | პსვ | 2,5 | სტანდარდი | 5,0 |
| ვალენსია | 6,0 | ბენფიკა | 6,0 | ჰერენვენი | 30,0 | გენკი | 5,0 |
| სელტა | 10,0 | ლეირია | 40,0 | ბრედა | 50,0 | გენტი | 8,0 |
| ალავესი | 10,0 | ბელენენსეში | 50,0 | ვიტესი | 50,0 | | |
| ბილბაო | 10,0 | | | უტრეხტი | 50,0 | | |
| ბეტისი | 20,0 | | | | | | |

| 911 საბერძნეთი | | 912 ჩეხეთი | | 913 პოლონეთი | | 914 თურქეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,9 | სპარტა | 1,1 | ვისლა | 1,75 | გალათასარაი | 1,3 |
| პანათინაიკოსი | 2,0 | ტეპლიცე | 5,0 | ლეგია | 2,0 | ბეშიქთაში | 2,5 |
| აეკ | 2,2 | ბოჰემიანსი | 6,0 | პოლონია | 4,0 | ფენერბაჰჩე | 4,0 |
| პაოკ | 6,0 | ლიბერეცი | 10,0 | პოგონი | 4,0 | | |
| ირაკლისი | 30,0 | სლავია | 15,0 | ამიკა | 4,0 | | |
| არისი | 30,0 | | | ოდრა | 6,0 | | |
| | | | | რუხი | 10,0 | | |
| | | | | კატოვიცე | 20,0 | | |

| 915 შოტლანდია | | 916 ავსტრია | | 917 შვეიცარია | | 918 დანია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 1,01 | ტიროლი | 1,02 | გრასჰოპერი | 2,0 | ბრონდბიუ | 1,05 |
| რეინჯერსი | 7,0 | შტურმი | 5,0 | სენტ გალენი | 3,0 | კოპენჰაგენი | 4,0 |
| | | გრაცერი | 10,0 | ბაზელი | 3,0 | ყადემიკი | 8,0 |
| | | | | სერვეტი | 4,0 | ოლბორგი | 10,0 |
| | | | | ლუგანო | 5,0 | | |
| | | | | იანგ ბოისი | 8,0 | | |
| | | | | სიონი | 8,0 | | |
| | | | | ციურიხი | 10,0 | | |

საქართველოს ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

9 თებერვალი. ვერის ბაღი



თსუ — სსუ. ორი სოხუმელი ერთ თბილისელზე: თსუ-ელ გოჩა არსიაშვილს (ბურთით) ივანე აბულაძე (მარცხნივ) და ირაკლი ძიძიგური უფარებენ





ემოციური რაკურსი: თსუ-ს მწვრთნელი გელა წულაძე და სოხუმელთა თავკაცი ვაჟა კვარაცხელია

# სსუ: სოხუმელებმა ხმა ამოიღეს

ირაკლი პირტაია

**რაც** ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობს, სოხუმის უნივერსიტეტის გუნდს თითებზე დასათვლელი გამარჯვება მოუპოვებია, მუდამ აუტსაიდერი იყო. ასეა ახლაც, მაგრამ ის დრო წავიდა, სოხუმელები ასტრონომიული ანგარიშით რომ მარცხდებოდნენ. პირველ წრეში ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა „ქუთაისი" მხოლოდ დაამარცხა და „შევარდენს" ტოლსწორად ეპაექრა, შაბათს კი სსუ-ს ცოტა დააკლდა ჩემპიონატის ყველაზე ხმაურიან სენსაციამდე.

თსუ, ხელმძღვანელობის თქმით, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდია. საჩემპიონოდ სტუდენტებმა ერთხელ, ნოემბერში „ბასკოსთან" ითამაშეს და ორ ოვერტაიმში დამარცხდნენ. შემდეგ მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი გაუპრეზიდენტდათ, ლევან ქარაბაკმა ოპერაცია გაიკეთა და თსუ-ს საქმე უკანუკან წავიდა. უარესიც რომ დამართოდა გელა წულაძის გუნდს, ცალი ხელით უნდა დაემარცხებინა სსუ, მაგრამ ამის გასაკეთებლად გვარიანი ჯაფა და იღბალის წყალობა დასჭირდა. ვერც იმით გაიმართლებენ თავს თბილისელები, დავით მუშკუდიანი და გიორგი მარკოიშვილი რომ აკლდათ — სოხუმელებს მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე საუკეთესო ირაკლი სორდიაც გაუვარდათ, მანამდე კი პერსონალურების მიზეზით სამი მოთამაშე მოისაკლისეს.

ჩემპიონობის მოსურნე თსუ-სა და მეორე შემადგენლობით მოთამაშე, ცხრილის ფსკერის ბინადარ სსუ-ს შეხვედრის ბოლო ხუთი წუთი ისეთივე თანაბარი და დაძაბული იყო, როგორიც მანამდე. მანამდე კი თსუ-ს ფარქვეშ ჩაფლავება და ლიდერის წამდაუწუმ ცვალებადობა იყო. სორდიამ ექვსი სამქულიანიდან პირველი მატჩის დაწყებიდან წამებში ჩააგდო, შემდეგ შორიდან ორჯერაც იხეირა და პირველი მეოთხედი სსუ-ს 21:17 მოაგებინა.

მეორე მეოთხედიდან სოხუმელი ივანე აბულაძე ორივე ფარს დაეპატრონა და თამაშის ბოლომდე ამ საქმეში მოცილე არ ჰყოლია. დაუჯერებლად კი ჟღერს, მაგრამ [illegible] და გულივერ ახალკაცი [illegible] დილში დამწყებ კალათბურთელებს ჰგავდნენ.

მესამე ათწუთეულის ბოლო წამზე აბულაძემ ვახტანგ ქვილითაიას ნასროლს დაამატა და სსუ 67:61 დააწინაურა. ვაჟა კვარაცხელიას გუნდი სირენამდე 6 წუთით ადრე 7 ქულას იგებდა, მაგრამ მალე თსუ-ს ფარის ამწიოკებელმა ირაკლი სორდიამ მეხუთე პერსონალური მიიღო და სსუ თითქოს გატყდა. თბილისელები მატჩის დამთავრებამდე სამწუთნახევრით ადრე დაწინაურდნენ, თუმცა სსუ-მ, რომელსაც ოთხი კალათბურთელი გაუძევეს, მალევე აჩვენა ყველას, რომ იოლად არ დანებდებოდა. აბულაძემ ფარქვეშ კიდევ ერთხელ დაჯაბნა თსუ-ს მეფარეები და სირენამდე ორი წუთით ადრე სსუ, ვინ მოთვლის, მერამდენედ დააწინაურა 81:80. ლუკა შანიძეს თბილისელები კვლავ წინ გაჰყავს და სოხუმელებს ანგარიშის გასაქვითად 35 წამი რჩებათ. გიორგი ჟღენტმა თავის თავზე აიღო თამაში, ბურთი კარგა ხანს ათამაშა და საბოლოოდ მისმა ნასროლმა თბილისელთა ფარამდეც ვერ მიაღწია.

რაც ჟღენტი და ბაბიაშვილი დააკლდა, „აზოტი" მეტად ზანტი გუნდი გახდა. სადღაა უსწრაფესი შეტევები — რუსთაველთა მძლავრი იარაღი. „ქუთაისთან" შეხვედრა ზურაბ ტომარაძის გუნდმა ნელ ტემპში დაიწყო და ალბათ ბოლომდეც ასე იქნებოდა, მეოთხე ათწუთეულში მოედანზე რუსთაველთა მეორე შემადგენლობა რომ არ გამოსულიყო. „აზოტი" გააზრებულად თამაშობდა, ხშირად შორიდან ისროდა და პირველი ნახევრის ბოლოს ისე მიაღწია მეტოქის გამტეხ ანგარიშს (52:27), გვარიანად ოფლიც არ მოუდენია.

შაბათის ბოლო მატჩში „დინამომ" გული იჯერა „შევარდენთან". არჩილ ჟღენტმა სოლო გარღვევებით ავიაქარხნელთა დაცვაში ქვა ქვაზე არ დატოვა და თუ პირველი მეოთხედის შემდეგ ანგარიში „შევარდენის" ვაგლახ წინააღმდეგობაზე მიუთითებდა — 25:16, ესაც კი ბექა ნოზაძის დამსახურება იყო, ვინაც ბოლო წუთებში ზედიზედ იხეირა.

შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. ოგანესიანი ფარქვეშ დადგა, მას ჯაფარიძეც შეეშველა და „შევარდენს" საბოლოოდ ფრთები შეეკვეცა — 61:105.

### ქუთაისი 57:93 აზოტი

14:26, 13:26, 14:22, 16:19

**ქუთაისი:** კვიმსაძე (20), ბადრიძე, კეშელავა (13), ბოლქვაძე (9), ნ. შანიძე; ბერეკაშვილი (2), დარახველიძე (5), პირტახია (2), კუპრაშვილი (1), ბარბაქაძე (5)

**აზოტი:** გაბისონია (3), გოგობერიშვილი (21), კურილჩუკი (18), ბერუაშვილი (12), მაჭარაძე (7); დანელიანი (4), ბოისა (7), არწივაძე, კოკოლიშვილი (6), ჯიმშელეიშვილი (7), ლიპარტელიანი (8)

**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

### დინამო 105:61 შევარდენი

25:16, 27:15, 22:10, 31:20

**დინამო:** ა. ჟღენტი (19), ტურაშვილი (5), წოწელია (15), ჯაფარიძე (14), ოგანესიანი (20); მიქაძე (4), მაისურაძე, აკოლაშვილი (9), ბერია (6), ნინიაშვილი (5), ჩუბინიძე (8), რ. ჩხეიძე (3)

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (1), გ. ჩხეიძე, ჭირაქაძე (10), ბ. ნოზაძე (19), ქევხიშვილი (2); გ. ბულხადარაშვილი, ნუცუბიძე (2), კაზანჯიანი (9), გამყრელიძე (6), გელაშვილი (2)

**მსაჯები:** გია მოლოდინაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

### სსუ 81:83 თსუ

21:17, 20:20, 26:24, 14:22

**სსუ:** სორდია (29), ვ. ქვილითაია (7), ტაბატაძე (3), აბულაძე (22), ერქვანია (5); ჩიტაშვილი, ლაცუზბაია, გ. ჟღენტი (5), ბ. ქვილითაია (4), ძიძიგური (6)

**თსუ:** ნიკოლაძე (27), ხეცურიანი (16), ვეფხვაძე (2), ლ. შანიძე (12), კილაძე (14); არსიაშვილი (5), ახალკაცი (7)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

10 თებერვალი. ვერის ბაღი

# ოცნება ჩაიშალა

**კვირის მატჩებიდან** ცენტრალურად „დინამო" — თსუ მიიჩნეოდა, მაგრამ თუ სხვა მხრივ განვსჯით, ასეთი ქვეცხრილელთა დაპირისპირება უფრო გამოდგა. თსუ გზააბნეულია და ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ პირველ ნახევარში ვიხილეთ. აი, „შევარდენი" — „ქუთაისი" კი სულ სხვა იყო...

ენთუზიასტ ქუთაისელებს ჩემპიონატში გამარჯვება ჯერაც ვერ მოეპოვებინათ და დაახლოებით თავისი კალიბრის მეტოქეს შემართებით ეკვეთნენ. სადებიუტო წუთებში გუნდები თავქუდმოგლეჯილი უტევდნენ, შემდეგ დაწყნარდნენ და მეტოქის დაცვის გარღვევის სხვადასხვა ხერხი მოსინჯეს. იმერლებმა აქცენტი გუნდურ თამაშზე აიღეს და მიზანს კომბინაციები აღწევდნენ, ხანაც ლაშა კეშელავა გაძვრებოდა ავიატორთა ზონაში. „შევარდენმა" კი რა არ იღონა, მაგრამ ქულების დაგროვება მხოლოდ გიორგი ჩხეიძემ მოახერხა. „ჯიჯომ" პირველ მეოთხედში „შევარდენის" 22 ქულიდან 17 თავის ანგარიშზე ჩაიწერა, მთლიანად მატჩში კი ამ ჩემპიონატის სარეკორდო — 46 ქულა მოინაგრა. ჩხეიძის ყველა ნასროლი „ქუთაისის" კალათში პოულობდა ადგილს და ყოჩაღად იმერლებს წინ გაჭრის საშუალებას უსპობდა.

ქუთაისელთა 3-ქულიანი უპირატესობით დაიწყო მეოთხე ათწუთეული. შესაძლო გამარჯვების ეიფორიით შეპყრობილ იმერლებს თავგზა აებნათ. ისინი ბურთს ბურთზე აცილებდნენ. მართალია, „შევარდენის" „ძრავი" — გიორგი ჩხეიძე შეაჩერეს, მაგრამ მარტო ამან არ იკმარა. ლევან ქევხიშვილისა და ბექა ნოზაძის ძალისხმევით ავიაქარხნელებმა ხუთწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგეს. იმერელთა დაცვის კედელი ერთბაშად ჩაიშალა, ისევე როგორც ქუთაისელთა სეზონში პირველი გამარჯვების ოცნება.

რუსთაველთა რუსი ლეგიონერი ვიქტორ კურილჩუკი სსუ-ან მთელი „სიგრძე-სიგანით" წარმოჩინდა. დაცვასთან ერთად კურილჩუკმა შეტევაშიც ჩინებულად ითამაშა. სოხუმელებმა ამ მატჩშიც გამოიჩინეს ფხა. როცა „აზოტმა" 20-ქულიან უპირატესობას მიაღწია, მოეშვა, რაც კარგად გამოიყენა სოხუმელთაგან საუკეთესო ირაკლი ძიძიგურმა, რომლის გარჯითაც პირველი ნახევრის ბოლოს ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა. თუმც შემდეგ „აზოტმა" საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდა და ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა — 90:66.

დღის ცენტრალური მატჩი კი ისე დაიწყო, როგორც შეეფერებოდა. გულშემატკივარი, დაძაბულობა, კამათი არ აკლდა პირველ ათწუთეულს.

გიორგი ნიკოლაძე ცდილობდა, გასაღები მოერგო „დინამოს" დაცვისთვის, რაც არ გამოსდიოდა. დინამოელმა არჩილ ჟღენტმა კი ეს რამდენჯერმე მოახერხა, ოგანესიანმაც იმარჯვა ფარქვეშ და ლევან მოსეშვილის გუნდმა შესვენების შემდეგ სამქულიან უპირატესობას მიაღწია. ეს იყო და ეს, აქედან მოყოლებული „დინამომ" გაილაღა.

თსუ-ს ამ მატჩში წარმატების იმედი პირველივე ნახევარში გადაეწურა: დავით მუშკუდიანს მსაჯთან შელაპარაკების გამო თამაშის დატოვება მოუხდა. „დინამომ" საქმე რამდენიმე წუთში მოათავა და ბოლო მეოთხედს აზრი დაუკარგა — 61:38.

გუშინ კი „ბასკომ" „მაკაბი" არ დაინდო. საწყისი მეოთხედი 39:10 მოუგო და შემდეგ ივარჯიშა. ცხადია, შელეგზე მგზავრობამაც იმოქმედა, ჯამლეთ ხუხაშვილის გუნდი ბათუმში მატჩამდე საათით ადრე ჩავიდა და 59:115 დამარცხდა.

### შევარდენი 87:79 ქუთაისი

22:24, 25:22, 13:17, 27:16

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (7), გ. ჩხეიძე (46), კაზანჯიანი (3), ბ. ნოზაძე (12), ქევხიშვილი (8); ნუცუბიძე, გამყრელიძე (5), ჭირაქაძე (6)

**ქუთაისი:** კვიმსაძე (24), ბადრიძე (9), კეშელავა (13), ბერეკაშვილი (12), ბოლქვაძე (9); ნ. შანიძე (6), ქოქოსაძე, დარახველიძე (3), პირტახია, კუპრაშვილი (4)

**მსაჯები:** გია მოლოდინაშვილი, როლანდ გელოვანი

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

### აზოტი 90:66 სსუ

24:17, 23:21, 20:12, 23:16

**აზოტი:** გაბისონია (3), გოგობერიშვილი (17), კურილჩუკი (33), ბერუაშვილი (11), მაჭარაძე (9); ლიპარტელიანი (2), დანელიანი, ბოისა, არწივაძე (3), კოკოლიშვილი (10), ჯიმშელეიშვილი (2)

**სსუ:** გ. ჟღენტი, სორდია (16), ტაბატაძე (9), აბულაძე (1), ერქვანია (6); ჩიტაშვილი (2), ლაცუზბაია, ძიძიგური (24), ვ. ქვილითაია (4), მ. ხოშტარია (3), ტატუნაშვილი (1)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

### თსუ 67:80 დინამო

13:16, 11:24, 14:21, 29:19

**თსუ:** ნიკოლაძე (3), ხეცურიანი (6), ლ. შანიძე (22), ახალკაცი (16), მუშკუდიანი (2); ვეფხვაძე (1), კილაძე (6), ზანგურაშვილი (2), არსიაშვილი (9)

**დინამო:** ა. ჟღენტი (14), ტურაშვილი, რ. ჩხეიძე (2), ნინიაშვილი (5), ოგანესიანი (17); მაისურაძე (3), აკოლაშვილი (3), ბერია (3), ჯაფარიძე (14), ჩუბინიძე (8), წოწელია (11)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

11 თებერვალი. ბათუმი

### ბასკო 115:59 მაკაბი

**ბასკო:** ჩხატარაშვილი (7), როჯერსი (13), ტუღუშიანი (12), თორთლაძე (14), ბეჟანიშვილი (9), საყვარელიძე (7), არხიპოვი (5), მ. მარკოიშვილი (16), ბერძენიშვილი (6), ორმოცაძე (10), იმნაძე (14), ათუაშვილი (2)

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (13), ი. ბერიშვილი (10), სარიშვილი (2), ფირცხელაური (2), კეიდია (8), სუხიშვილი (21), ანდღულაძე (3)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 12 | 10 | 2 | 963:786 | 22 |
| ბასკო | 11 | 10 | 1 | 1052:728 | 21 |
| დინამო | 12 | 9 | 3 | 1044:850 | 21 |
| სტუ-ჯეოსელი | 10 | 7 | 3 | 873:724 | 17 |
| თსუ | 11 | 6 | 5 | 854:842 | 17 |
| მაკაბი | 11 | 5 | 6 | 923:998 | 16 |
| შევარდენი | 12 | 3 | 9 | 772:953 | 15 |
| სსუ | 11 | 1 | 10 | 701:937 | 12 |
| ქუთაისი | 12 | 0 | 12 | 795:1159 | 12 |

ყველა ვარსკვლავი 2002 ფილადელფია, 9-10 თებერვალი

# ავმა მშობელმა შვილი აიმხედრა



აბა, გააჩერეთ კობი ბრაიანტი! ჯერმენ ონილმა და დანარჩენმა აღმოსავლეთმა ამაოდ სდიეს მატჩის მომავალ უძვირფასეს მოთამაშეს

ფილადელფია
„ფესთ იუნიონ სენთერი"
10 თებერვალი

**აღმოსავლეთი 120:135 დასავლეთი**

**აღმოსავლეთი:** კიდი (2), აივერსონი (5), ჯორდანი (8), უოლკერი (8), მუტომბო (8 ქულა, 10 მოხსნა); მაკგრედი (24), პირსი (19), ალენი (15), მურნინგი (13), აბდულ-რაჰიმი (9), ონილი (7), დეივისი (2)

**დასავლეთი:** ფრენსისი (3), ბრაიანტი (31), გარნეტი (14 ქულა, 12 მოხსნა), დანკანი (14 ქულა, 14 მოხსნა), ვებერი (8); პირსონი (18), ნოვიცკი (12 ქულა, 8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (11), შეურბიაკი (10), ნეში (8 ქულა, 9 პასი), ბრენდი (6 ქულა, 10 მოხსნა)

შეერთებული შტატების უწინდელმა დედაქალაქმა ფილადელფიამ ამ უქმეებზე უმასპინძლა, რიგით 51-ე ჭრიამულობას, რასაც ამერიკელები, ყველა ვარსკვლავის შეხვედრას უწოდებენ. ისინი იმ ოთხდღიან საყოველთაო შესვენებას გულისხმობენ, ოფლშემშრალ კალათბომბავებს ფეხის ფეხზე შემოდების და ძალუმ კუნთთა მოდუნების უფლებას რომ აძლევს. ამ ნახევარი საუკუნის წინ „ოლ სტარი" აღმოსავლელ-დასავლელთა შორის საუკეთესოთა შეკრების და მჯობნის გარკვევის სურვილმა შვა. შემდეგ იდეა მოძველდა და მართალია, შეკრებით დღეისთვის კვლავ რჩეულნი იკრიბებიან, მაგრამ მდინარე მისისიპის გაღმა-გამოღმელთ ერთმანეთთან გულიან და ალალ ჭიდილს ღლაბუც-ტაკიმასხარაობა უჯობთ.

ფილადელფიამ რიგიანად უმასპინძლა სრულიად ნბა-ს კაშკაშებს. დარბაზი შესაფერისი ბრჭყვიალებით, ხოლო ხალხი მქუხარე აპლოდისმენტ-ოვაციებით დახვდა საკალათბურთო ნალებს, ეგაა, ძმური სიყვარულის ქალაქმა ყველაზე ნაკლები სითბო იმ დღეს ფიცარნაგზე გასულთაგან იქნებ ყველაზე ნამდვილ ფილადელფიელს უწილადა. „ლეიკერსში" მოთამაშე კობი ბრაიანტს ვგულისხმობთ, რომელსაც მამა 70-იანი წლების „ფილადელფია სიქსერზის" ვარსკვლავი ჰყავდა, თავადაც ამ ქალაქის ლია საკალათბურთო მოედნებზე ისწავლა ბურთის ჯადოქრულად ტარება.

ფილადელფიელებს მართლა არ უყვართ კობი და დაუფარავად აგრძნობინეს კიდეც, შენ ჩვენი ქალაქის შვილი კი არა, გერი ხარო. იქნებ იმიტომაც არ უყვართ, რომ შარშან მან და მისმა „ლეიკერსმა" ფინალში „სიქსერზი" 4:1 გაანადგურეს. ბრაიანტი ამ სიძულვილს შარშანდელ ფინალურ ამბებს არ უკავშირებს. „ფილადელფია ჩემი სახლია და ძალიან მწყინს, ასე რომ მხვდებიან. ვერც ვიხსენებ, რით დავიმსახურე ეს. მახსოვს, 18 წლის ვიყავი, როცა „ლეიკერსი" აქ ჩამოვიდა. მაშინაც ასე მისტვენდნენ".

მას უსტვენდნენ მთელი მატჩის განმავლობაში, თითქმის ყოველთვის, როცა ბურთს ეხებოდა, ხოლო როდესაც ბრაიანტმა „ოლ სტარის" უძვირფასესი მოთამაშის კუთვნილი პრიზი აღმართა, დარბაზმა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატა უარყოფითი ემოცია.

პო, მართლა, კობიმ იმ დღეს სხვებზე მეტად მოიწადინა და მატჩის უძვირფასესადაც დაასახელეს. ჰქონდა კიდეც მოტივაცია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორი აღმოსავლელის — მაიკლ ჯორდანის და ალენ აივერსონის ძლევის სურვილი კლავდა. პირველმა 1998 წლის „ოლ სტარზე" აართვა უძვირფასესობა, მეორემ კი შარშან აჯობა.

არ გაუმართლათ აღმოსავლელებს. ბრიანტზე არანაკლებ სურდა თავის გამოჩენა „სიქსერზის" ლიდერ და ადგილობრივთა კერპ ალენ აივერსონს, ვისაც შარშან „ოლ სტარში" პატარა სასწაულები ჩაუდენია, მაგრამ ამ ჯერზე კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: სროლები არ წაუვიდა, ცხრა ნასროლიდან ორი თუ ჩააგდო და საფინალო სირენა რომ გაისმა, აივერსონს ოდენ ხუთი ქულა უჩხრიალებდა ჯულაბაში. ვერც ჯორდანი იქცა საღამოს კოლორიტად, პირიქით, მანაც ბევრიააცილა, ერთ ეპიზოდში კი მთელი დარბაზი, მათ შორის თანაგუნდელებიც ახარხარა, როცა ფართან მარტო დარჩენილმა ვერ ჩატენა. აღმოსავლეთში ყველაზე ყოჩაღად ყველაზე უმრწემესი, ორლანდოელი ტრეისი მაკგრეიდი გამოიყურებოდა, ვინაც მეორე მეოთხედში არაბუნებრივი რამ გააკეთა და ულამაზესი ჩატენვით დამსწრეთ თვალი მოსჭრა. თუმცა კი საღამოს მთავარი გმირი (თან ანტიგმირი) კობი ბრაიანტი გახლდათ. მან დასავლელებს პირველ ნახევარში 17-ქულიანი უპირატესობა მოუხვეჭა, თავად კი 31 ქულა მოაქუჩა, რაც 1988 წლის ჯორდანის 40-ის შემდეგ ყველაზე ბევრია „ოლ სტარებში".

ნამდვილ ვარსკვლავთა შეთამაშებამდე ერთი დღით ადრე, შაბათს, ხალხი სხვათა წაბურთავებამ გაართო. ჩატენვების კონკურსი მოიგო გოლდენსტეიტელმა ახალბედამ ჯეისონ რიჩარდსონმა. მანვე გაიბრწყინა ყველაზე მეტად ყმაწვილთა „ოლ სტარში", 26 ქულა მიითვალა და ახალბედების გუნდს მეორეწლიანებთან 103:97 მოაგებინა.

დრამატული გამოდგა სნაიპერთა გაჯიბრება. საკრამენტოელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა და კლივლენდელმა ვესლი პერსონმა ფინალში 19-19 სამქულიანი ჩააგდეს და სტოიაკოვიჩმა ოვერტაიმშილა იმარჯვა — 9:5.

ასევე ოვერტაიმის გამართვა დასჭირდა ცალფარა სამი-სამზე თამაშის ფინალს. აქ იმარჯვა უცხოტომელების — ჰიდაიეთ თურქოღლუს, შარუნას მარჩულიონისისა და ტიჩა პენიჩიეროს ტრიომ. მათ ფინალში ფილადელფიელები — ერიკ სნოუ, მოზეს მელოუნი და დაუნ სტეილი 12:9 დაამარცხეს, ხოლო ნახევარფინალში ლოსანჯელესელები, დერიკ ფიშერი, მეჯიქ ჯონსონი და ლაიზა ლესლი 25:13 სძლიეს.

**ირაკლი ფირცხვილი**



„მისმა ჰაეროს უდიდებულესობამ", მაიკლ ჯორდანმა ჩატენვა მოიწადინა, მაგრამ ბურთი კალათიდან ამოუხტა



რა ხალხი... თვით მეჯიქ ჯონსონი (ბურთით), შარუნას მარჩულიონისის (მარჯვნივ), ტიჩა პენიჩიეროს (მარცხნივ, უკან) და ჰიდაიეთ თურქოღლუს გარემოცვაში



დევისის თასი. 8-10 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გროჟანმა ფრანგებს შარშანდელი ფინალი დაავიწყა

**მერვედფინალი**

**საფრანგეთი — ჰოლანდია 3:2**

სებასტიან გროჟანი — ედვინ კემპესი 7:5, 7:6 (7:5), 6:2
არნო კლემანი — სხენგ შალკენი 7:5, 2:6, 6:7 (7:9), 6:4, 6:2
სედრიკ პიოლინი, ფაბრის სანტორო — პოლ ჰაარჰაისი, სხენგ შალკენი 6:4, 4:6, 1:6, 5:7
სებასტიან გროჟანი — სხენგ შალკენი 6:2, 1:6, 7:6 (8:6), 2:6, 6:3
არნო კლემანი — ედვინ კემპესი 6:7 (5:7), 3:6

**ჩეხეთი — ბრაზილია 4:1**

ირჟი ნოვაკი — ანდრე სა 6:7 (10:12), 6:1, 6:1, 6:4
ბოჰდან ულირახი — ფერნანდო მელიგენი 6:3, 6:4, 6:4
ირჟი ნოვაკი, დავიდ რიკლი — ანდრე სა, ალექსანდრე სიმონი 6:4, 6:3, 7:5
იან ვაცეკი — ფლავიო სარეტა 1:6, 6:7 (6:8)
ბოჰდან ულირახი — ანდრე სა 6:1, 6:2

**აშშ — სლოვაკეთი 5:0**

პიტ სამპრასი — კაროლ ბეკი 6:3, 6:7 (3:7), 6:1, 7:5
ენდი როდიკი — იან კროშლიაკი 6:4, 6:4, 6:7 (5:7), 7:6 (7:1)
ჯეიმს ბლეიკი, მარდი ფიში — კაროლ ბეკი, იან კროშლიაკი 6:3, 6:7 (5:7), 6:3, 6:4
ჯეიმს ბლეიკი — ლადისლავ სვარცი 4:6, 6:3, 6:0
ენდი როდიკი — კაროლ ბეკი 6:4, 7:6 (7:5)

**ესპანეთი — მაროკო 3:2**

ხუან-კარლოს ფერერო — ჰიშამ არაზი 6:3, 6:1, 6:2
ალექს კორეჩა — იუნის ელ აინაუი 3:6, 5:7, 4:6
ალექს კორეჩა, ხუან ბალსელსი — ქარიმ ალამი, ჰიშამ არაზი 2:6, 6:2, 7:6 (10:8), 6:4
ხუან-კარლოს ფერერო — იუნის ელ აინაუი 6:7 (2:7), 0:6, 6:3, 6:0, 3:6
ალექს კორეჩა — ქარიმ ალამი 6:3, 6:0

**რუსეთი — შვეიცარია 3:2**

მარატ საფინი — როჯერ ფედერერი 5:7, 1:6, 2:6
ევგენი კაფელნიკოვი — მიხაელ კრატოჩვილი 6:3, 4:6, 1:6, 7:6 (7:3), 6:2
მარატ საფინი, ევგენი კაფელნიკოვი — როჯერ ფედერერი, მარკ როსე 6:2, 7:6 (8:6), 6:7 (0:7), 6:2
ევგენი კაფელნიკოვი — როჯერ ფედერერი 6:7 (6:8), 1:6, 1:6
მარატ საფინი — მიხაელ კრატოჩვილი 6:1, 7:6 (8:6), 6:4

**დიდი ბრიტანეთი — შვედეთი 2:3**

ტიმ ჰენმანი — იონას ბიორკმანი 6:4, 7:5, 4:6, 7:5
გრეგ რუზედსკი — ტომას ენკვისტი 6:7 (3:7), 6:7 (5:7), 2:6
ტიმ ჰენმანი, გრეგ რუზედსკი — იონას ბიორკმანი, ტომას იოჰანსონი 7:6 (7:1), 2:6, 6:7 (4:7), 6:3, 6:3
ტიმ ჰენმანი — ტომას ენკვისტი 4:6, 2:6, 4:6
გრეგ რუზედსკი — ტომას იოჰანსონი 6:4, 3:6, 5:7, 4:6

**არგენტინა — ავსტრალია 5:0**

გილერმო კანიასი — სკოტ დრეიპერი 6:4, 6:7 (4:7), 5:7, 6:4, 6:1
გასტონ გაუდიო — ენდრიუ ილი 6:1, 6:1, 6:2
გილერმო კანიასი, ლუკას არნოლდი — უეინ არტურსი, ტოდ ვუდბრიჯი 3:6, 6:3, 6:4, 1:6, 10:8
ხუან იგნასიო ჩელა — ენდრიუ ილი 6:1, 6:1
გასტონ გაუდიო — სკოტ დრეიპერი 6:3, 6:2

**ხორვატია — გერმანია 4:1**

ივან ლუბიჩიჩი — რაინერ შუტლერი 7:5, 6:7 (3:7), 3:6, 6:7 (5:7)
გორან ივანიშევიჩი — ნიკოლას კიფერი 7:6 (7:3), 6:3, 6:4
ივან ლუბიჩიჩი, გორან ივანიშევიჩი — დავიდ პრინოზილი, მიხაელ კოლმანი 6:4, 6:4, 7:5
გორან ივანიშევიჩი — რაინერ შუტლერი 6:4, 7:6 (7:4), 7:6 (7:5)
ივან ლუბიჩიჩი — ნიკოლას კიფერი 7:6 (7:1), 6:4

ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ფრანგებს მეოთხედფინალში გასაღწევად შინ ფიცხელი ბრძოლის გადახდა მოუხდათ. ყველაფერი მათი უპირველესი მეჩოგნის სებასტიან გროჟანისა და პოტროველა ჰოლანდიელ შალკენის სამსაათიან შეხლაში გაირკვა. გროჟანმა, ვინაც დეკემბრის ფინალში ავსტრალიასთან ორივე მატჩში თავი შეირცხვინა, ამ უქმეებზე 14 სეტის გადამტან შალკენს დიდის გაჭირვებითა და ბუღრაობით მოუგო. „ბოლო ქულამდე არაფერი იყო გადაწყვეტილი, - თქვა მან ნამატჩევს - მეგონა ამდენ შრომას ვერ გაუძლებს და დაიღლება-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... მინდოდა, რამე კაცური გამეკეთებინა და გუნდს გამოვდგომოდი. ვფიქრობ, გამომივიდა კიდეც. აწი შარშანდელ ფინალს აღარ გამახსენებენ".

დიდი ამბები მოხდა ბირმინგემშიც, სადაც ბრიტანელები შორეული 1986 წლის შემდეგ თავიანთ პირველ მეოთხედფინალს ეშურებოდნენ. მათ იმედს ბოლო კვირას მოელო, როცა ჯერ ტომას ენკვისტმა გააგორა ტიმ ჰენმანი, ხოლო მოგვიანებით კი ჩოგანი წლევანდელმა მეავსტრალიე ტომას იოჰანსონმაც გაანძრია და გრეგ რუზედსკის გადამწყვეტი მატჩიც წაჰგვარა. არადა, იოჰანსონს პარასკევის ერთეულთა შეხვედრები ტრავმის გამო გაუცდა და რუზედსკის წინააღმდეგ პირველ სეტშიც ვერ ვარგოდა. მაგრამ მერე და მერე მან გადაჯგუფება მოახერხა და იოლად მოგებულ მეორე სეტს უკვე უმძაფრეს ჭიდილში წაგლეჯილი სეტებიც მიაყოლა. „ეს საშინელი იმედგაცრუებაა, ვერ წარმოიდგენთ, რა შემზარავ დეპრესიაში ჩავცვივდით", - ჰენმანის ეს სიტყვები, ალბათ, ყველა ბრიტანელის გულდათუთქულობას გამოხატავდა.

გული კი ამ დღეებში, იცოცხლეთ, კიდევ ბევრს დაეთუთქა. ამათგან პირველ რიგში შარშანდელ ფინალისტ ავსტრალიელებს, რომელთაც ბუენოს აირესში ვერც მუხლმტკივანი ფილიპუსისი დაეხმარათ, ვერც ნარუტყვავილარი ჰიუიტი და ვერც „აკადემიურალებული" რაფტერი. ჭაბუკ ილისა და დრეიპერს კი აბა, რა უნდა გაეწყოთ გაშმაგებული ინჩადისა და მისით შეგულიანებული გაუჩო-მეთიხნარეების - გაუდიოს, ჩელასა და კანას წინააღმდეგ?

ფრიად მისჭირდათ ესპანელებსაც, რომელთაც კადნიერმა იუნეს ელ აინაუიმ ჯერ ალექს კორეჩა, ხოლო შემდეგ ყოჩ-ბუღა და მსოფლიოს მესამე მეჩოგნე ფერეროც დაუჯაბნა, რათა 5-მატჩა დაპირისპირების ბედი სწორედ მეხუთეში გარკვეულიყო. აი, იქ კი, ვაგლახ, ქარიმ ალამის ნატკენი ბარძაყი გაუმიზეზდა და იმავ კორეჩას ჩოგანი ველარ შეუბრუნა.

და კიდევ — ამერიკელთა მიერ უპრობატო და უკუჩერო სლოვაკთა, ხოლო ჩეხთა მიერ უკუერტენო ბრაზილიელთა იოლად ძლევას გვერდზე თუ გადავდებთ, მოსახსენებელი ორი რამღა გვრჩება. ერთი ის, რომ უპაასო გერმანიას ბებერმა გორან ივანიშევიჩმა ლამის მარტოჩოგნად მოუგო, ხოლო მეორეც ის, რომ როჯერ ფედერერი დიდებული მოთამაშეა და მოსკოვიდან ორივე მედიდსლემე რუსის სკალპიც წაიღო, მაგრამ მას ვერც ბეხრეკმა როსემ აუბა ჩოგანი და ვერც დაუღვინებელმა კრატოხვილმა — რუსთა მიერ ალპებზე გადასვლაც სწორედ ამან განაპირობა!

**ლევან ძელაურაძე**

**მეოთხედფინალი. 5-7 აპრილი**

საფრანგეთი — ჩეხეთი
აშშ — ესპანეთი
რუსეთი — შვედეთი
არგენტინა — ხორვატია

**პარიზი. Open Gaz de France**
**საპრიზო 535 ათასი $. ჰარდი**

**ნახევარფინალი**

ვინუს უილიამსი (აშშ) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 4:6, 7:6, 7:5
ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) — მონიკა სელეში (აშშ) 6:3, 3:6, 6:4

**ფინალი**

ვინუს უილიამსი (აშშ) — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია); დოკიჩი ტრავმის გამო არ გამოცხადდა.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# იანკთა ფერადი პატრიოტიზმი

ცერემონიალი ფრიადზე ჩატარდა. განსაკუთრებულ ინტრიგას ბადებდა იმ პირის ვინაობა, ვისაც ოლიმპიური ცეცხლის დანთების პატივს არგუნებდნენ. კვიმატმა იანკებმა აქაც მიაგნეს ორიგინალურ საშუალებას. ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიაზე ჩირალდანი ატარეს ცნობილმა ოლიმპიელმა დენ იანსენმა, ბონი ბლერმა, დოროთი ემილმა, სკოტ ჰამილტონმა, ფილ მარემ, ბილ ჯონსონმა, ჯიმ შიმ, კამი გრანატომ და პიკაბო სტრიტმა, ხოლო ცეცხლის დანთების ადგილთან ახლოს ჩირალდანი მიაბარეს არა ერთ ვინმეს, არამედ მთელ გუნდს. გამართლდა გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის" პროგნოზი — უმთავრესი პატივი ერგოთ იმ ამერიკელ ჰოკეისტებს, რომელთა ნაკრებმაც 1980 წლის ოლიმპიადაზე უძლეველი საბჭოთა კავშირი შეარცხვინა. ლეგენდარული გუნდის კაპიტანმა მაიკ ერუზიონმა ცეცხლი დაანთო, სხვებს კი ჩირალდანზე ხელი ეკიდათ.

საკადრისი პატივი მიეგოთ 11 სექტემბერს ტერაქტში დაღუპულებს და უმცროსმა ჯორჯ ბუშმა ესეც თავისი ხალხის პატრიოტულ გრძნობათა სიმაღლეს მიაწერა. „სტადიონზე მომხდარი მოვლენები ოქროს შუალედი იყო ჩვენს მიერ აქ განცდილ პატრიოტულ გრძნობასა და ოლიმპიური თამაშების უაღრეს საერთაშორისო მნიშვნელობას შორის" — განაცხადა ბუშმა მორმონთა ეკლესიის პრეზიდენტთან, გორდონ ჰინკლისთან მოკლე შეხვედრისას.

თავის ქვეყნის პატრიოტებად წარმოჩნდნენ ინდიელებიც, რომლებიც ცხოვრებით კმაყოფილები მოედნის ცენტრში ცეკვავდნენ. საერთოდ, სიდნეის ოლიმპიადის მსგავსად, აბორიგენები სოლტ ლეიკ სიტიშიც გამოსარჩევ ადგილას დგანან. ისინი იყვნენ ყველა ოლიმპიური დელეგაციის დამხვდურთა შორის და ხუთი ტომის რჩეული მოცეკვავეები გახსნის ცერემონიალზეც გამოიყვანეს. იუტები, გოშუტები, ჩრდილოდასავლელი შოშონები, პაიუტები და ნავახები ბოლოს მოედნის ცენტრში ერთად მოგროვდნენ და დოლის ხმაზე დიდებული საომარი ჩამოუარეს. მერე ცნობილმა კომპოზიტორმა ჯონ უილიამსმა უხელმძღვანელა მორმონთა ეკლესიის ქოროს და გაისმა ახალი კომპოზიცია „ჩემპიონთა ძახილი", რომელიც საგანგებოდ ოლიმპიადისთვის დაიწერა.

სხვაც ბევრი იყო სასეირო...

# 9–10 თებერვალი

## თხილამურობა

### ქალები

15 კმ თავისუფალი სტილი

## ბელმონდო რუსებს დაერია

**შარშან** და, გინდა წლეულსაც მსოფლიოს თასის რბოლებში არცთუ იშვიათად მომხდარა, როცა ყველა საპრიზო და კიდევ ერთი-ორი ადგილიც რუს მოთხილამურე ქალებს დაუკავებიათ. ახლა ტიტულებს აღარ იკითხავთ? მარტო ლარისა ლაზუტინას შინ რვა ოლიმპიური მედალი უდევს. ნაკლები არც სხვები არიან, თუნდაც შეპალოვა. ჰოდა, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ეგეთი გუნდის პატრონებს ოლიმპიური ოქრო და სულ ცოტა კიდევ ერთი მედალი განაღდებული ეგონათ. სწორედ ამ მეტისმეტმა სიძლიერემ და მეტისმეტმა დიდმა წარმოდგენამ დაღუპა რუსი. ეს პირველივე სათხილამურო რბოლაში მოხდა. ქალები 15 კმ-ზე თავისუფალ. სტილით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

პირველი კილომეტრები ოციანმა ჯგუფმა ერთად იარა. სათავეში მრბოლებს ლაზუტინა, შეპალოვა, ჩეხი ნოიმანოვა და იტალიელი ბელმონდო მეუძღოდნენ. ჯგუფში კიდევ რამდენიმე რუსი და ორი იტალიელი, ვალბუზა და პარუცოც იყვნენ.

მერვე კილომეტრზე იტალიელებმა ტემპს უმატეს. თუმცა არც ამან დააფიქრა რუსები. ამ სიტუაციაში მათ ათასჯერ ნაცადი ხერხის გამოყენებით სულ იოლად შეეძლოთ იტალიელთა ბანაკში არეულობის შეტანა — საჭირო იყო ერთი, ერთადერთი მოთხილამურის „გაწირვა" — ეს საზვარაკო სპორტსმენი მაქსიმალურად გაზრდიდა ტემპს და იტალიელებიც არცთუ იოლად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე დადგებოდნენ: გაჰყვები — ჭირია, არ გაჰყვები — ვაითუ გაუძლოს ტემპს და ოქროც ცხვირწინ აგაცალოს?!

ერთი სიტყვით, ურიცხვი გამარჯვებებით განებივრებულმა რუსეთის ნაკრებმა ამ მარტივი ხერხის გამოყენებაც ზედმეტად ჩათვალა — აქაოდა, ძალა აღმართს ხნავსო.

იტალიელ გულშემატკივართა საბედნიეროდ, იმ დღეს ძალაც და გამარჯვების წყურვილიც მათიანს აღმოაჩნდა. სათხილამურო სპორტის ვეტერანმა სტეფანია ბელმონდომ საოცარი უიღბლობის მიუხედავად — მე-10 კილომეტრზე სათხილამურო ჯოხი და თითქმის 10 წამით ჩამორჩა ლიდერებს — საოცრება მოახდინა — ჯერ წამოეწია ლიდერთა ჯგუფს, მერე კი, როცა ფინიშამდე 500 მეტრი რჩებოდა, ფანტასტიკური სისწრაფე განავითარა. ლაზუტინა ერთხანს კი მიჰყვა, მაგრამ მალევე დანებდა — იტალიელის დამარცხება იმ რბოლაში ალბათ შეუძლებელი იყო.

1. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 39.54,4
2. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 39.56,2
3. კატერინა ნეუმანოვა (ჩეხეთი) 40.01,3



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სტეფანია ბელმონდო

### ვაჟები

30 კმ თავისუფალი სტილი

30 კილომეტრზე რბოლაში სენსაციას არავინ ელოდა. ან ესპანელი იოჰან მულეგი, ან შვედი პერ ელოფსონი — ასეთი იყო სპეციალისტთა ვარაუდი და რადგან ამ პროგნოზს გამართლება ეწერა, ბრძოლა ოქროს მედლისთვის ზემოხსენებული ორი მოთხილამურის ორთაბრძოლად უნდა ქცეულიყო. სტარტიდან სულ ცოტა დრო იყო გასული, როცა ცხადი გახდა, რომ შვედისა და ესპანელის დუელი არ გაიმართებოდა — ელოფსონი რაღაც ვერ იყო ფორმაში. ერთადერთი, რაც კაცების პირველ ოლიმპიურ სტარტს ინტრიგას შესძენდა, ბიათლონში ოლიმპიური ჩემპიონის ოლე ეინარ ბიორნდალენის მონაწილეობა იყო. ნორვეგიელ ბიათლონისტს ამგვარი „უცნაურობები" საერთოდაც ახასიათებს — მაგალითად, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის წინ იმდენი ირბინა მრბოლებთან ერთად, რომ საკუთარ სახეობაში სამარცხვინოდ ჩაფლავდა. ასე თუ ისე, მწვრთნელებმა ნება მისცეს ბიორნდალენს 30 კმ-ზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაში ეცადა ბედი. წინასწარ ვიტყვით, რომ

## არა შეჯდა ოლე ხესა...

შედეგი არცთუ ურიგოა — მსოფლიოს საუკეთესო მრბოლთა ექვსეულში მოხვედრა თვით ამ სახეობის სპორტსმენებისთვისაც კი სასახელოა, მაგრამ ღირდა თუ არა ენერგიის დახარჯვა ბიათლონში 20 კილომეტრიანი შეჯიბრების წინ, კიდევ საკითხავია.

დისტანციის სამი მეოთხედი ბიორნდალენი რომელიმე მედლის მოპოვების საკმაოდ კარგ შანსს ინარჩუნებდა, მაგრამ ფინიშთან, როგორც ჩანს, ან ძალა არ ეყო, ან სისწრაფე. ოქროს მედალი კი საკმაოდ დიდი უპირატესობით ესპანელმა მულეგმა მოიგო. ვერცხლი და ბრინჯაო ავსტრიელ მოთხილამურეებს ხვდათ წილად.

**ირაკლი ბერიაშვილი**

1. იოჰან მულეგი (ესპანეთი) 1:09.28,9
2. კრისტიან ჰოფმანი (ავსტრია) 1:11.31,0
3. მიხაილ ბოტვინოვი (ავსტრია) 1:11.32,3



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იოჰან მულეგი

## ტრამპლინიდან ხტომა

K-90 ინდივიდუალური

**იუტას** ოლიმპიური პარკი ოლიმპიადის დაწყების პირველი დღიდანვე ხალხით გაივსო. იქ ტრამპლინიდან მხტომლები უნდა გაეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და მარაქაში ერია ქართველი კახა წაქაძეც, რომელმაც 58-ე ადგილი დაიკავა.

სხვები მეტი წარმატებით ფრინავდნენ. ოქროს მედალს ორიდან ერთის კისერზე ელოდნენ: ან გერმანელი სვენ ჰანავალდის, ან პოლონელი ადამ მალიშისა, რომელსაც ხალხიდან რამდენიმე ქომაგი და მათ შორის პოლონეთის ექსპრეზიდენტი ლეხ ვალენსა ეძახდნენ გამამხნევებელ ფრაზებს.

პარასკევის კვალიფიკაცია ქარბუქმა ჩაშალა, მაგრამ უქმეები იუტას ოლიმპიურ პარკში სწორედ საუქმო, მშვიდი გამოდგა და მოტრამპლინეები მთელი მონდომებით შეუდგნენ ხტომას. უეცრად დაწინაურდა ახალგაზრდა შვეიცარიელი სიმონ ამანი, რომელმაც ბოლო ხტომების წინ ჰანავალდს გაუსწრო, მაგრამ ეს უკანასკნელი როდი გატყდა. გამოცდილი გერმანელი გადამწყვეტ იერიშზე დაიძრა, უმატა, უმატა სიჩქარეს და 3 ოჯ. ჰაერში იყო. მისი მოხაზული რკალი უსაშველოდ გრძელი ჩანდა და აპარატურას ნახტომის სიგრძის გაზომვა არ შეეძლო: 99 მეტრი ის შედეგი გა-

## ამან მოიგო!

### გამარჯვებულმა არ დაიჯერა



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სიმონ ამანი

ხლდათ, რომლითაც ჰანავალდს გამარჯვებულად უნდა ეგრძნო თავი, თუკი...

ახლა ამანი დაიძრა, 20 ათასი კაცის ღრიალში გაფრინდა მეტად შორს და ტაბლოს რომ შეხედა, ეგონა, თვალი მატყუებსო, 98,5 მეტრი სავსებით კმაროდა პირველ ადგილზე გასასვლელად. გამარჯვებიდან სამი საათის შემდეგაც არ სჯეროდა შვეიცარიელს, რომ ჩემპიონი გახდა.

„მოწინავეებში ყოფნაზე ვფიქრობდი — თქვა მან — მაგრამ ჩემპიონობა? ამის შესაძლებლობა, უბრალოდ, გამოვრიცხე"

ამანი აქამდე ბოლო ხანების საწრამპლინო შეჯიბრებებს. მსოფლიოს თასზე ორი ეტაპი გააცდინა თავის და ზურგის ტკივილის გამო, რომლებიც გერმანულ ვილინგენში ვარჯიშისას დაიზიანა.

ადამ მალიში მესამე იყო. იგი არის პირველი პოლონელი, რომელმაც 1972 წლიდან ზამთრის ოლიმპიადებზე რაიმე მედალი მოიგო.

1. სიმონ ამანი (შვეიცარია) 269,0 ქულა
2. სვენ ჰანავალდი (გერმანია) 267,5
3. ადამ მალიში (პოლონეთი) 263,0

## ᲡᲐᲛᲗᲝ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝᲑᲐ

### ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

სწრაფდაშვება

# ᲤᲠᲘᲪᲘ ᲓᲐ ᲡᲠᲘᲐᲚᲐ ᲧᲐᲜᲬᲐ

**ᲝᲒᲓᲔᲜᲘᲡ** მთაზე, როგორც სოლტ ლეიკ სიტის მთელ სიახლოვეს, სნაიპერები განლაგდნენ, იქ კვირას ვაჟთა სწრაფდაშვება გაიმართა. ტრასის სიგრძე სამნახევარი კილომეტრი გახლავთ და გრიზლის სახელს ატარებს, რაც, მოგეხსენებათ, ამერიკულ დათვსაც ჰქვია. არც ისე ადვილი სასრიალოა, მაგრამ გუშინწინ გზაში ერთი სამთოელიც არ დავარდნილა. თვით ფრანგი პიერ ემანუელ დალკინი, რომელსაც გაცხარებული სრიალისას ერთი თხილამური წასძვრა, ცალ ფეხზე, მაგრამ მაინც მივიდა ფინიშთან. მისი სიჩქარე მაღალი ვერ იქნებოდა, სხვებმა კი აიწყვიტეს და ას ოცდაათით და მეტით მიქროდნენ. თავიდან გამოირჩა ავსტრიელი სტეფან ებერჰარტერი და ასეც უნდა ყოფილიყო: მსოფლიოს თასის უპირობო ლიდერი ოლიმპიადაზე მინიმუმ ორი დისციპლინის ფავორიტად ითვლებოდა, ამიერიდან კი მხოლოდ ერთისა იქნება, რადგან სწრაფდაშვების ოქრო მის თვისტომს დარჩა.

ებერჰარტერმა საუკეთესო შედეგით გალია ტრასის ნახევარი, მერე ოდნავ აურია და ცოტა ხანში ჭმუნვით იხილა, როგორ აჯობა ფრიც შტრობლმა, რომელმაც შემდეგ დაამრო მობილური და ცოლ-შვილთან ავსტრიაში გადარეკა, ჩემპიონი გელაპარაკებათო.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ვიცე ჩემპიონმა ლასე კიუსმა ფრიც შტრობლს ჩემპიონობა ალალად მიულოცა

არადა, რიგში სხვებიც იყვნენ და ვინძლო შტრობლის ალტკინებას ამაოდ ჩაევლო, მაგრამ ფრიცს შერჩა, მხოლოდ ნორვეგიელი ლასე კიუსი გათავხედდა და ებერჰარტერს წაართვა მე-2 ადგილი. ეს კიუსის მეოთხე ოლიმპიური მედალი იყო, მათგან ოქროსი არც ერთია.

„დღეს ჩემი დღე არ იყო — ებერჰარტერის კომენტარს მოგახსენებთ — ორი თუ სამი მცირე შეცდომა ძვირად დამიჯდა".

ახლა ებერჰარტერს სუპერგიგანტისა ემედება და რამე რომ იყოს, არც გიგანტურ სლალომშია წყალწაღებული.

1. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1.39,13
2. ლასე კიუსი (ნორვეგია) 1.39,33
3. სტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1.39,39

## ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐ

### ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

3000 მეტრი

# ᲩᲐᲬᲘᲮᲚᲣᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

**ᲡᲣᲚ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ** ჩაიყარა ის შედეგები, რასაც ადრე 3000 მეტრზე მოციგურავე ქალებმა მიაღწიეს. დააკვირდით: მსოფლიო რეკორდი ერთბაშად სამმა დაამხო, ხოლო ოლიმპიურს — 32-დან 10-მა (!) მანძილოსანმა გადაუსწრო.

გამარჯვების მთავარ კანდიდატად თვლიდნენ გერმანელ ანი ფრიზინგერს, რომელმაც წლევანდელი მსოფლიოს თასის ყველა გარბენი მოიგო, მაგრამ ოლიმპიადა არ ემორჩილება საერთოსაშეჯიბრო ლოგიკას, აქ მეტი ზეწოლაა, მეტი ნერვებია საჭირო და მოკლედ, ფრიზინგერი საერთოდ უმედლოდ დარჩა, მე-4 ადგილზე გავიდა. 29 წლის გერმანელმავე კლაუდია პეხშტეინმა კი გაიმარჯვა მეტად შთამბეჭდავად, მსოფლიო რეკორდით.

სოლტ ლეიკ სიტი პეხშტეინისთვის მე-4 ოლიმპიადაა. მას ბრინჯაო ჩამოჰკიდეს ლილეჰამერში, ვერცხლი — ნაგანოში. ვგულისხმობთ 3000-მეტრიან რბოლებს, თორემ 5 კილომეტრზე სრიალში პეხშტეინი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. „მიხარია, რომ 3000 მეტრზე ყველა ჯურის მედალი დამიგროვდა" — თქვა პეხშტეინმა გამარჯვების შემდეგ. მეორე და მესამეადგილოსნებიც ერთობ მხიარულად გამოიყურებოდნენ, ძველი მსოფლიოს რეკორდისთვის ამათაც გადაევლოთ. ის რეკორდიც ახალ ჩემპიონს ეკუთვნოდა, პეხშტეინმა შარშან მარტში დაამყარა.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ანი ფრაიზინგერი

უმედლო ფრიზინგერმა წაუტირა, მერე კი მიდიოდა და ხალხს ხელს უქნევდა. მას ოლიმპიური რეკორდი მოუხსნია, რომელიც ნაგანოს ოლიმპიადაზე კიდევ გერმანელმა გუნდა ნიმანშტირნემანმა დაამყარა. შტირნემანი სოლტ ლეიკ სიტიში ყინულზე კი არა, პრესლოჟაშია, საიდანაც გერმანიის ტელევიზიისთვის რეპორტაჟები მიჰყავს.

ფრიზინგერს წინ 1500 და 5000 მეტრი ელის, იქნებ იქ მაინც გახდეს რამეს. ბოლოს არ იქნება, არ ვახსენოთ ავსტრიელი ემეს ჰუნიადი, ვინაც თავის მე-6 ოლიმპიადაზე მე-9 ადგილი დაიკავა და ეს დიდად საპატიოა.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ**

1. კლაუდია პეხშტეინი (გერმანია) 3.57,70
2. რენატე გროენვოლდი (ჰოლანდია) 3.58,94
3. სინდი კლასენი (კანადა) 3.58,97

**ᲕᲐᲟᲔᲑᲘ.** 5000 მეტრი

1. იოჰემ ვუტდეჰააგი (ჰოლანდია) 6.14,66 (მსოფლიოს რეკორდი)
2. დერეკ პარა (აშშ) 6.17,98
3. იენს ბოდენი (გერმანია) 6.21,73

## ᲝᲠᲭᲘᲓᲘ

90 მ ტრამპლინიდან ხტომა
15 კმ + რბოლა



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სამპა ლაიუნენი

# ᲤᲘᲜᲣᲠᲘ ᲝᲠᲭᲘᲓᲘ

**ᲝᲠᲭᲘᲓᲘᲡ** ორი დღის შედეგები რომ გავარჩიეთ, წინა ხაზზე ფინეთის დროშების სიმრავლე შევნიშნეთ. შაბათს 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომები გაიმართა, კვირას — რბოლა 15 კილომეტრზე და ოქროს და ვერცხლის მედლები ფინელებს დარჩათ. იააკო ტალუსი იუტას ოლიმპიურ პარკში ფრიადი ალმაფრენით ხტოდა, ხოლო სამპა ლაიუნენმა რბოლაში გამოჩინა თავი. ლაიუნენის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ბოლო 100 მეტრზე ვიღაც პატრიოტისგან ფინეთის დროშის მიღებაც მოასწრო და ფინიში რონინით გადაკვეთა — უახლოეს მდევარს თითქმის წუთნახევრით უსწრებდა.

„ლაიუნენი დღეს შეუდარებელი იყო და ოქროს შანსი საერთოდ არ მქონდა" — აღიარა ტალუსმა, რომელიც თანამემამულეს მე-7 კილომეტრზე ჩამორჩა და მერე ველარც დაეწია.

ჯერ საერთო შეფასება ვთქვათ: მასპინძლები ზამთრის კლასიკურ სახეობებში უაღრესად სუსტები ჩანან. ამერიკელებმა ჩაისვარეს სამთო და ბარის თხილამურობაში, ბიათლონში, ტრამპლინიდან ხტომაში და აგერ, ორჭიდშიც მათი საუკეთესო მიღწევა მე-7 ადგილი გახლდათ. ამის მიუხედავად, მედლების საერთო მონაგარით ამერიკა მესამეა, მხოლოდ ავსტრიას და გერმანიას ჩამორჩება.

1. სამპა ლაიუნენი (ფინეთი) 267,5 ქულა
2. იააკო ტალუსი (ფინეთი) 257
3. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) 235

# ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲡ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲡ



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე

## ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲠᲘᲐᲚᲘ

### ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘ

მოკლე პროგრამა

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** და შემდეგ რუს მეფიგურსრიალე წყვილებს 1964 წლიდან უოქროოდ არც ერთი ოლიმპიადა არ დაუტოვებიათ. პარასკევს ჩინებულად ჩასრიალებული მოკლე პროგრამის შემდეგ ელენა ბერეჟნაიასა და ანტონ სიხარულიძეს ჩინებული შანსი აქვთ, ეს ტრადიცია შეურყევლად დაიცვან.

არადა, მათ წყვილს ყინულის მოსინჯვა უმთავრეს მეტოქეებზე - ფრანგ სალე-პელეტიესა და ჩინელ შენ-ძაოზე ადრე მოუხდათ. ეს კი ყოველთვის წამგებიანია, რადგან მსაჯები, რაგინდ სრულყოფილი შესრულება იხილონ, უმაღლეს შეფასებებს მაინც არ იძლევიან და ყოველთვის იტოვებენ სივრცეს — ხომ შეიძლება ვინმემ უკეთესადაც იასპაროს!

ამიტომაც, რუსთა მიერ მიღებული 5,7 და 5,8 ქულები იმ დღეს გაცილებით ძვირი ღირდა — თავიანთი პროგრამა მათ მართლაც უნაკლოდ შეასრულეს.

სამაგიეროდ, მსუბუქად წაიფორხილეს ფრანგებმა, რომელთაც სრიალი ყინულზე წაკოტრიალებით დაასრულეს. გამოუცდელ მაყურებელთათვის ეს მოულოდნელი ქორეოგრაფიული სვლა იყო, ხოლო თვალბასრი მსაჯებისთვის — ბითური შეცდომა, რაც სალესა და პელეტიეს რამდენიმე მეათედი დაუჯდათ.

ჩინელებმა, რომლებიც გუშინდელი თავისუფალი პროგრამისთვის ისტორიაში პირველად ოთხმაგი ბრუნის გაკეთების გეგმავდნენ, ტრადიციული მესამე საფეხური დაიმკვიდრეს. მეოთხესა და მეექვსეს კვლავაც რუსები — ტოტმიანინა-მარინინისა და პეტროვა-ტიხონოვის წყვილები დაეპატრონენ. მათ შუა ამერიკელები, კიოკო ინა და ჯონ ციმერმანი ჩალაგდნენ.

სიხარულიძე და ბერეჟნაია 1998 წლის ნაგანოს ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსნები და 1998 და 1999 წლების მსოფლიოს ჩემპიონები არიან. მათ კოლექციას მხოლოდ საოლიმპიადო ოქრო აკლიათ.

ამ სტრიქონების კითხვისას თქვენ ეგებ უკვე იცით კიდეც, გახდნენ თუ არა ისინი ჩემპიონები.

**ᲑᲝᲜᲓᲝ ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘ**





REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

კლაუდია პეხშტეინის საზეიმო წრე

## ᲤᲠᲘᲡᲢᲐᲘᲚᲘ

### ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

მოგული

1. კარი ტრაა (ნორვეგია) 25,94
2. შენონ ბარკე (აშშ) 25,06
3. ტაე სატოია (იაპონია) 24,85

## ᲡᲜᲝᲣᲑᲝᲠᲓᲘ

### ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

1. კელი კლარკი (აშშ) 47,9
2. დორიან ვიდალი (საფრანგეთი) 43,0
3. ფაბიანა როიტელერი (შვეიცარია) 39,7



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

კელი კლარკი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

გერმანელთა მეკარე მარკ ზელიგერი ის კედელი აღმოჩნდა, სლოვაკებმა რომ თავი შეატეხეს

# სლოვაკებს ამერიკაში გერმანია აუფეთქდათ

**ჰოკეი**

„იმედია, პირველ ორ თამაშს მოვიგებთ და ავსტრიასთან შეხვედრამდე მოვაგვარებთ მეორე ეტაპზე გასვლის საკითხს" — თქვა სლოვაკთა გენერალურმა მენეჯერმა პეტერ შტიასნიმ, მაგრამ ნეტავ, არ ეთქვა. იქნებ ასე არ დაითარსებოდა მისი გუნდი... რას იფიქრებდა, ლეგენდარული ჰოკისტი მაშინ, რომ უკვე მეოე მატჩის შემდეგ დაკარგავდნენ მისი შეგირდები საპლეიოფო რაუნდში გასვლის შანსს. დიახ, წაგებისა და ფრის შემდეგ პირველი ეტაპის ფავორიტების სოლტ ლეიკ სიტიში ყოფნას აზრი აღარ აქვს.

არადა, სლოვაკეთის ნაკრები არა მარტო სუსტებში ითვლებოდა უძლიერესად, არამედ ფავორიტებთან ჭიდილშიც კონკურენტუნარიან გუნდად მიიჩნევდნენ. თავად განსაჯეთ, წინასწარ განაცხადში სლოვაკებს 18(!) ნჰლ-ელი ჰყავდათ, მათ შორის სუპერვარსკვლავები — პეტერ ბონდრა, ზიგმუნდ პალფი და პავოლ დემიტრა. თუმც ისიც სათქმელია, რომ ნჰლ-ის მესვეურებმა ნაკრები რთულ სიტუაციაში ჩააყენეს — ჰოკეისტთა უმეტესობა მხოლოდ თითო მატჩის ჩასატარებლად გაუშვეს, რის გამოც გერმანიასთან შეხვედრაში სლოვაკებმა მხოლოდ 4 ნჰლ-ელი ათამაშეს, ხოლო ლატვიასთან — 5 და, ცხადია, ორივე მატჩი არასრული შემადგენლობით ჩაატარეს. მიუხედავად ამისა, სლოვაკები მაინც ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ...

გერმანიასთან გუნდი მეტოქეთა მეკარის საუცხოო თამაშმა და საკუთარმა უდისციპლინობამ და არხეინობამ დაღუპა. სლოვაკებმა პირველივე წუთიდან შეუტიეს გერმანელებს, მაგრამ მათი მეკარე მარკ ზელგერი, რომელსაც მანამდე მხოლოდ ერთი ოფიციალური თამაში ჩაეტარებინა ნაკრებში, სასწაულებს ახდენდა, ზოგჯერ კი ძელიც ეხმარებოდა. მეორე პერიოდის დასაწყისში სლოვაკებმა გოლი თავად გაუშვეს, თანაც რიცხვმრავლობაში: მიხაელ რუმრიხმა არაზუსტი პასი ჩაჭრა და მეკარესთან დუელი თავის სასარგებლოდ ‚ ასრულა. ექვს წუთში იან ბენდამ გააორმაგა და გაოგნებული სლოვაკები მატჩის დამთავრებამდე გონს ვეღარ მოვიდნენ. მესამე პერიოდში მოედანზე ზიგმუნდ პალფიც კი გამოჩნდა. კლუბის ხელმძღვანელებმა მას მხოლოდ მეორე თამაშში გამოსვლის უფლება მისცეს, მაგრამ თანამემამულეთა უსუსურობის ცქერას ვერ გაუძლო და მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი იყო, მაინც გაბედა ყინულზე გასვლა, მაგრამ გუნდს ვერაფერი უშველა.

ამ მარცხის შემდეგ სლოვაკებს კიდევ ჰქონდათ შანსი, თუმც ლატვიასთან ფრემ საბოლოოდ გადაუღობათ გზა. თამაშის მეორე პერიოდში სლოვაკებმა ტურნირზე პირველად აჩვენეს, თუ რატომ ითვლებოდნენ ფავორიტებად. მათ ფონზე ლატვიელები ისე საცოდავად გამოიყურებოდნენ, რომ ოთხ გოლზე გაცილებით მეტი უნდა გაეშვათ. მანამდე სლოვაკეთი 2:3 აგებდა და 6:3 დაწინაურდა. მერე კი მოხდა რაღაც გაუგებარი — ფავორიტმა რატომღაც ტემპი დააგდო და ლატვიელებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა, რითაც ბებერმა ბალტიისპირელებმა ჩინებულად ისარგებლეს. ვეტერანებმა, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს თამაშობდნენ რიგის „დინამოში", ფლორიდელ სანდის ოზოლინშთან ერთად მაქსიმალურად გამოიყენეს საგოლე მომენტები და ანგარიში გაათანაბრეს. ბოლო წუთზე გააქტიურებამ სლოვაკებს ვერაფერი მოუტანა. განცვიფრებულნი და გაცხარებულნი მატჩის შემდეგ ყველას აგინებდნენ — ნჰლ-ის ბოსებს, ოლიმპიადის ორგანიზატორებს (მათი წყალობით ბუფალოელმა შატანმა სოლტ ლეიკ სიტიმდე მხოლოდ გერმანელებთან მატჩის დღეს მიაღწია, რადგან კლუბის კერძო თვითმფრინავი აიძულეს, ქალაქიდან 100კმ-ის მოშორებით დამჯდარიყო), მაგრამ ეს რაღას უშველიდათ. ფაქტი ფაქტად რჩება, სლოვაკებისთვის ბოლო ორმა მატჩმა ყოველგვარი აზრი დაკარგა, ტურნირს კი პერსპექტივაში ძალიან იმედისმომცემი და სიმპათიური გუნდი გამოაკლდა.

**სამველ ღარიბიანი**

**A ჯგუფი:** სლოვაკეთი 0:3 გერმანია, ლატვია 4:2 ავსტრია, გერმანია 3:2 ავსტრია, სლოვაკეთი 6:6 ლატვია
**B ჯგუფი:** ბელარუსი 1:0 უკრაინა, შვეიცარია 3:3 საფრანგეთი

## ნუხელი

### ბიათლონი

**ქალები**

1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) 47.29,1 (1 საჯარიმო წრე)
2. ლივ გრეტე პუარე (ნორვეგია) 47.37,0 (1)
3. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 48.08,3 (2)

**ვაჟები**

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 51.03,3 (2 საჯარიმო წრე)
2. ფრანკ ლუკი (გერმანია) 51.39,4 (0)
3. ვიქტორ მაიგუროვი (რუსეთი) 51.40,6 (1)

### ციგაობა

**ვაჟები**

1. არმინ ზოგელერი (იტალია) 2.57,941
2. გეორგ ჰაკლი (გერმანია) 2.58,270
3. მარკუს პროკი (ავსტრია) 2.58,283

### სნოუბორდი, ჰაფპაიპი

**ვაჟები**

1. როს როვერსი (აშშ) 46,1 ქულა
2. დენი კასი (აშშ) 42,5
3. ჯერეტ ტომასი (აშშ) 42,1



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ოლე ეინარ ბიორნდალენი

**ჰოკეი**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ტორონტოდან

ტორონტო — მონრეალი. მონრეალელ მეკარეს ჟოზე თეოდორს და მცველ სტეფან კინტალს შაიბა გაეპარათ

**8 თებერვალი**

**სან ხოსე 4:2 ჩიკაგო 1:0 2:1 1:1**
1:0 სუნდსტრიომი (16), 1:1 დაზე (22), 2:1 ტორნტონი (25), 3:1 მარლო (28), 3:2 კაროლიოვი (46), 4:2 ნოლანი (50)

**ანაჰაიმი 1:4 კაროლინა 1:1 0:1 0:2**
1:0 ლეკლერკი (4), 1:1 ბრინდამორი (19), 1:2 ფრენსისი (37), 1:3 ონილი (46), 1:4 ფრენსისი (54)

**ფინიქსი 6:5 ლოს ანჯელესი 0:1 3:3 2:1 1:0**
0:1 პალფი (20), 0:2 ლაპერიე (28), 0:3 პალფი (31), 0:4 ელისონი (33), 1:4 სავაჟი (34), 2:4 ნაგი (34), 3:4 ლემიე (36), 4:4 ლენგკოუ (44), 5:4 ლენგკოუ (48), 5:5 პალფი (50), 6:5 სავაჟი (65)

**კალგარი 1:4 ვანკუვერი 1:1 0:1 0:2**
1:0 პენტუნენი (7), 1:1 ლინდენი (16), 1:2 პლავსიჩი (27), 1:3 კესელსი (52), 1:4 პელმერი (54)

**ნეშვილი 3:3 ვაშინგტონი 0:1 2:0 1:2 0:0**
0:1 დალინი (3), 1:1 სიმპსონი (30), 2:1 დელმორი (36), 2:2 ოუთსი (48), 2:3 იაგრი (50), 3:3 რონინგი (58)

**მინესოტა 0:6 კოლორადო 0:3 0:1 0:2**
0:1 ვრბატა (6), 0:2 ტანგეი (15), 0:3 ბლეიკი (18), 0:4 ვრბატა (24), 0:5 ვრბატა (47), 0:6 ტანგეი (48)

**დეტროიტი 2:3 კოლუმბუსი 1:1 1:1 0:1**
0:1 უიტნი (4), 1:1 პალი (12), 1:2 ქუინტი (31), 2:2 ჩელიოსი (33), 2:3 ვიბორნი (41)

**ატლანტა 1:2 რეინჯერსი 0:0 0:2 1:0**
0:1 ბარნაბი (26), 0:2 ლინდროსი (31), 1:2 ფერარო (54)

**ბუფალო 3:2 ოტავა 0:1 2:0 0:1 1:0**
0:1 ნილი (4), 1:1 რასმუსენი (28), 2:1 შატანი (29), 2:2 არვედსონი (43), 3:2 ფული (65)

**9 იანვარი**

**ვანკუვერი 3:4 კალგარი 1:2 2:0 0:2**
0:1 პეტროვიცკი (13), 1:1 სოპელი (18), 1:2 სავარი (20), 2:2 ნესლუნდი (25), 3:2 ბერტუცი (38), 3:3 იგინლა (44), 3:4 ბოტერილი (51)

**კოლორადო 2:3 ჩიკაგო 2:1 0:2 0:0**
1:0 პაინოტი (3), 1:1 ამონტე (9), 2:1 საკიკი (10), 2:2 სალივანი (22), 2:3 კოლდერი (29)

**კოლუმბუსი 0:1 ნეშვილი 0:0 0:0 0:0 0:1**
0:1 არხიპოვი (63)

**ტამპა 2:4 ვაშინგტონი 1:0 0:3 1:1**
1:0 პრისპალი (16), 1:1 ზუბრუსი (24), 1:2 დალინი (26), 1:3 ფორბსი (33), 2:3 ანდრეიჩუკი (44), 2:4 საიმონი (60)

**ოტავა 2:3 დეტროიტი 0:0 2:3 0:0**
0:1 დიუშენი (22), 1:1 პოსა (27), 1:2 ფიოდოროვი (30), 2:2 ალფრედსონი (37), 2:3 ფიოდოროვი (39)

**სენტ ლუისი 0:5 ფილადელფია 0:2 0:0 0:3**
0:1 ტერიენი (9), 0:2 იუნსონი (13), 0:3 უილიამსი (44), 0:4 პრიმო (46), 0:5 ლეკლერი (56)

**ტორონტო 4:1 მონრეალი 2:0 1:1 1:0**
1:0 რაიხელი (2), 2:0 კორსონი (11), 2:1 ბერეზინი (32), 3:1 გრინი (40), 4:1 ლუმე (59)

**პიტსბურგი 1:2 ნიუ ჯერსი 0:0 0:0 1:1 0:1**
1:0 მოროზოვი (47), 1:1 ბოლიკი (52), 1:2 რაფალსკი (65)

**ბოსტონი 4:1 ფლორიდა 2:0 1:0 1:1**
1:0 გრინი (15), 2:0 სამსონოვი (16), 3:0 მიურეი (36), 3:1 ვ. ბური (41), 4:1 როლსტონი (49)

**10 იანვარი**

**რეინჯერსი 4:3 პიტსბურგი 0:0 3:2 1:1**
1:0 ლიჩი (26), 1:1 ლანგი (29), 1:2 პრედინა (32), 2:2 დვორჟაკი (34), 3:2 ნედვედი (37), 3:3 ფერენსი (55), 4:3 ბარნაბი (60)

**მინესოტა 4:3 აილენდერსი 1:1 1:1 2:1**
0:1 მილერი (13), 1:1 დიუპუი (18), 1:2 სკაჩარდი (30), 2:2 პარკი (32), 3:2 ჟოლტოკი (44), 4:2 ჟოლტოკი (50), 4:3 ისბისტერი (60)

**ნიუ ჯერსი 4:1 ბუფალო 1:0 3:0 0:1**
1:0 არნოტი (12), 2:0 ბოლიკი (30), 3:0 არნოტი (31), 4:0 არნოტი (38), 4:1 ბაიეტი (49)

**ფინიქსი 3:4 ედმონტონი 1:0 1:0 1:4**
1:0 დოუნი (1), 2:0 ნაგი (30), 2:1 ბრიუერი (42), 2:2 გრინი (44), 3:2 მ. ჯონსონი (44), 3:3 კომპრი (56), 3:4 ნიინიმაა (56)

**ანაჰაიმი 1:5 დალასი 0:1 1:3 0:1**
0:1 ლეჰტინენი (20), 0:2 დიმაიო (24), 0:3 მოროუ (27), 1:3 ლეკლერკი (32), 1:4 მოდანო (32), 1:5 ზუბოვი (46)

**სან ხოსე 4:0 კაროლინა 2:0 1:0 1:0**
1:0 მარლო (7), 2:0 სელიანე (19), 3:0 ნოლანი (22), 4:0 მარლო (43)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აპხაიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge